# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 26 მარტი, 2010 წელი.

№56 (6422)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## თანამედროვე ტერორიზმის ანატომია,

ანუ ბებერი კურტიზანის უიღბლო რომანი

4





3

## „ჩერქეზების გენოციდის აღიარებით რუსეთს გავაღიზიანებთ, მაგრამ ისტორიულ სიმართლეს აღვადგენთ“

2

## ჯოხს მხოლოდ ერთ ჟურნალისტზე გადატეხენ?

„მომავლის ქრონიკის“ გამო ხმაური გრძელდება

## „გააპლაკატებენ“ ხათუნა კალმახელიძეს?




## მშვიდობის მტრედები – ბუშის ქუჩაზე...

2



## „გადაგდება“ შაშკინისებურად

არქიტექტორთა ბედი დღევანდელ საქართველოში

6

ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ დიმიტრი შაშკინს

## აფხაზნი საგიორგიანოს ღვიძლი მცხელნი არიან და არა ეთნიკური უმცირესობა

4

## როგორ აისახება ამერიკის კონგრესის მიერ სომხების გენოციდის აღიარება რეგიონის ენერგეტიკულ მომავალზე?

8

ბრალდება

# ჯოხს მხოლოდ ერთ ჟურნალისტზე გადატეხენ?

## „მომავლის ქრონიკის“ გამო ხმაური გრძელდება

**საქართველოს ჟურნალისტთა ქარტიის დამფუძნებელი და ხელმომწერი, გადაცემათა ციკლის „სპეციალური რეპორტაჟის“ ავტორი და წამყვანი ნათია კობერიძე სწორედ რომ პირველი გახდა, ვინც ქარტიის მუხლები დაარღვია. რამდენიმე მოქალაქის საჩივრის საფუძველზე გუშინ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისში ქარტიის საბჭოს წევრები შეიკრიბნენ და ნათია კობერიძის ჟურნალისტური ქცევის კოდექსის უგულებელყოფის ფაქტების გამო დიდხანს იმსჯელეს.**

მომჩივანეები ნათია კობერიძეს ბრალს სდებენ ქარტიის პირველი მუხლის დარღვევაში – ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. სხდომას თავად ჟურნალისტიც უნდა დასწრებოდა, თუმცა ბოლო წუთს გადაიფიქრა იმ მოტივით, რომ მას „შოუში“ მონაწილეობის მიღება არ სურდა.



საბჭოს თავმჯდომარე ეთერ თურაძე იძულებული გახდა, დღის წესრიგი შეეცვალა და, ჟურნალისტის თანხმობის შემდეგ, მას კითხვები ელექტრონული ფოსტით გადაუგზავნეს. ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა თექვსმეტიოდე კითხვაში ჩაატიეს და კობერიძის ვერსიას დაელოდნენ. კობერიძე მიიჩნევს, რომ მას არ დაურღვევია ქარტიის მუხლები, ვინაიდან გადაცემის დაწყებამდე და ანონსშიც განაცხადა, რომ ეს იყო მოდელირებული ქრონიკა, რომლის მზა ვერსია ნახა სულ რაღაც საათნახევრით ადრე. თუმცა აღიარებს, **რომ გამაფრთხილებელი ტიტრი ქრონიკას უწყვეტად უნდა ჰქონოდა, მაგრამ მე არ ვიცოდი, რომ ტიტრს არ დადებდნენო. რაკი ქარტია არ დამირღვევია, ჩემზე ხელმძღვანელობის მხრიდან ზეწოლაც არ ყოფილა, – აცხადებს კობერიძე. ჟურნალისტი ამ გადაცემის ავტორად რჩება. საფრთხეებზე გადაცემის მომზადება ჩემი გუნდის იდეაც იყო, თუმცა ქრონიკის ნაწილზე პასუხისმგებლობას არ ვიღებ, – ამბობს „სპეცრეპორტაჟის“ ავტორი. საბჭოს წევრების ერთ-ერთი კითხვა იყო, თუ რატომ არ ეწერა ქრონიკის საარქივო მასალებს „არქივი“, რაზეც კობერიძემ პასუხისმგებლობა კვლავ ქრონიკის ავტორებს დააკისრა.**

რაც შეეხება სხდომაზე მოუსვლელობის მიზეზს, ჟურნალისტი წერს: **„გადაწყვეტილება მივიღე იმის გათვალისწინებით, რომ სხდომა იქნებოდა ღია, რითაც არაკეთილსინდისიერი, რევანშისტულად განწყობილი ადამიანები ბოროტად ისარგებლებდნენ და მოაწყობდნენ პროვოკაციას, რომელიც უპირველესად საბჭოს ჩააყენებდა უხერხულ მდგომარეობაში. ისე, ამაზე თქვენც უნდა გეფიქრათ, კოლეგებო, რადგან ვიმედოვნებ, რომ თქვენი მიზანი საქმის ვითარებაში გარკვევა იყო და არა ხმაურის ატეხვა“.**

წესით 13 მარტს ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ ნათია კობერიძე თავად უნდა წასულიყო არხიდან და კოლეგების გაკიცხვას არც დალოდებოდა, მაგრამ, რადგანაც ის თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს, მისი ეს ნაბიჯი ამ ეტაპზე გამორიცხულია. ისე კი, როგორც ერთ-ერთ საიტზე გავრცელდა, ჟურნალისტი თავად აპირებს „ქარტიის“ დატოვებას, თუმცა როდის, ჯერ არავინ იცის.

**კოლეგავ, კარგი იქნებოდა, თქვენივე სიტყვებისა არ იყოს: გადაცემის მიზანიც რეალურად საქმის ვითარებაში გარკვევა ყოფილიყო და არა ხმაურის ატეხვა!**

**თეა მოსია**

ვითარება

# სარემონტო სამუშაოებს იმიზეზებენო

**„ეროვნული საბჭო“ სპორტის სასახლის ადმინისტრაციას უჩივის. როგორც საბჭოში შემავალი კონსერვატიული პარტიიდან იტყობინებიან, სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ მათ დარბაზის დათმობაზე უარი უთხრა.**

„ეროვნული საბჭოს“ ლიდერების შეფასებით, ამით არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს საარჩევნო პროცესში ხელი ეშლებათ, რის კონტექსტშიც „კონსერვატორები“, „ხალხის პარტია“, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ და საბჭოს შემადგენლობაში შემავალი სხვა პარტიები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართავენ.

– 15 მარტს პოლიტიკურმა პარტიებმა – კონსერვატიული პარტია და „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ განცხადებით მივმართეთ სპორტის სასახლის ადმინისტრაციას, რათა საჯარო ლონისძიების გამართვის მიზნით (შესაბამისი თანხის ანაზღაურებით) დაგვეთმობოდა სპორტის სასახლის არენა. 16 მარტს უარი გვეთქვა არენის დათმობაზე სასახლეში 28 მარტიდან 13 აპრილამდე მიმდინარე სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, – აცხადებენ „ეროვნულ საბჭოში“.

საბჭოს ლიდერები ცესკოსგან შესაბამის რეაგირებას, სპორტის სასახლის ადმინისტრაციისგან კი ინფორმაციას მოითხოვენ იმასთან დაკავშირებით, რა თარიღიდან გახდება სპორტის სასახლის არენა ხელმისაწვდომი საჯარო ღონისძიებების გასამართად.

**ჯი-ეიჩ-ენი**

აქცია



# „გააპლაკატებენ“ ხათუნა კალმახელიძეს?

**შარშანდელი ოთხთვიანი საპროტესტო აქციების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა პოლიტპატიმრების უპირობო გათავისუფლება იყო, თუმცა მაშინ ყურიც არავინ შეიბერტყა. პირიქით, აქციების შემდეგ პოლიტპატიმრების რიცხვი რამდენიმე ათეულით გაიზარდა. ისიც უნდა ითქვას, რომ პროტესტის დიდი ტალღის ჩაცხრომის შემდეგ აქა-იქ ბრიფინგებზე თუ პატარ-პატარა აქციებზეღა ახსენებდნენ ამ თემას. უფრო სერიოზული გამოხმაურება ეკა ბესელიას შვილისა და ძმის მიმართ განხორციელებულმა ქმედებებმა გამოიწვია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ქალბატონი ეკა თავის პრობლემებთან მარტო დარჩა.**

როგორც მრავალი სხვა მივიწყებული თემა, პოლიტპატიმრების საკითხიც წინასაარჩევნოდ ისევ აქტუალური გახდა. გუშინ სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან, პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით, „ეროვნულმა საბჭომ“ (კონსერვატორები, „ხალხის პარტია“, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“) აქცია გამართა.

აქციაზე კობა დავითაშვილი და კახა კუკავაც იმყოფებოდნენ. სხვათა შორის, ეს აქცია ტრადიციულად იქცა, ყოველ ხუთშაბათს ქალაქის სხვადასხვა ადგილას იმართება.

**კობა დავითაშვილი, „ხალხის პარტიის“ ლიდერი:** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ათასობით ადამიანს უკანონო პატიმრობაში ამყოფებს. პრაქტიკულად გაუქმებულია ვადაზე ადრე გათავისუფლების ინსტიტუტი. პატიმართა გარკვეულ ნაწილს ეხება ვადაზე ადრე გათავისუფლება, თუმცა სამინისტრო ამას არ აკეთებს. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არა მხოლოდ პოლიტპატიმრები, არამედ უკანონო პატიმრებიც იმყოფებიან. ვინ გაათავისუფლონ და ვინ არა, ამას კომისია არ უნდა წყვეტდეს, ეს საკითხი კანონით რეგულირდება.

**კახა კუკავა, „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:** „იმის გარდა, რომ უკანონო და პოლიტპატიმრები იმყოფებიან საპატიმროებში, პირობები დამძიმებულია. განსაკუთრებით, ხათუნა კალმახელიძის გამინისტრების შემდეგ. მაგალითად, ქსნის კოლონიაში პატიმრებს თითქმის ყოველდღიურად სცემენ. ცოტნე გამსახურდიას საკუთარ სასამართლო პროცესზე დასწრება ხათუნა კალმახელიძის ბრძანებით აეკრძალა. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ მინისტრისა და ყველა ხელმძღვანელი პირის საქმის გამოძიებას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პატიმრების მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში.

აქციას მშვიდად არ ჩაუვლია. ეროვნული საბჭოს და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) თანამშრომლებს შორის დაპირისპირება მოხდა. კერძოდ, აქციის მონაწილეებმა სოდ-ის წარმომადგენლებს საშუალება არ მისცეს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა შესახებ პლაკატები სამინისტროს შენობიდან ჩამოეგლიჯათ. ეროვნული საბჭოს წარმომადგენელთა განცხადებით, თუკი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა ფოტოსურათები სამინისტროს შენობიდან ჩამოიხსნება, რეაქცია იქნება უმწვავესი და თავად მინისტრს, ხათუნა კალმახელიძეს „გააპლაკატებენ“.



**აი, ასე... ჩვენი პატიმრებისთვის ვერ მიგვიხედავს და მოგვივლია და გუანტანამოელი ტერორისტები გვაკლდა, რომლებიც თურმე შინაური ცხოველივით უწყინარნი ყოფილან. ქართული ციხეები კი არ ცარიელდება, გაცილებით მრავალფეროვანი, ეგზოტიკური პატიმრებით დატვირთული და „მიმზიდველი“ ხდება. განა ხედავთ პროტესტის მიზეზს?**

**ანა წიწილაშვილი**

პროტესტი

# მშვიდობის მტრედები – ბუშის ქუჩაზე...




**ყველას კარგად გემახსოვრებათ, თუ რა ზარ-ზეიმით აღნიშნა საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტი საქართველოში. აქაოდა, ბუში გვსტუმრობსო, დიდი ტაშ-ფანდური გავმართეთ. ოფიციალური ვიზიტი ისე გადაიქცა არაოფიციალურად, სიმართლე რომ ვთქვა, ვერც მე და, ალბათ, ვერც ბევრმა თქვენგანმა ვერ გაიგო, თუ რატომ შევხვდით პრეზიდენტს ისე, როგორც ჰოლივუდის ვარსკვლავს.**

ასეა თუ ისე, ბუშმა საქართველოში აჭარულის ცეკვითაც დაგვამახსოვრა თავი და კიდევ, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ერთი კი ნამდვილად ცხადია – იმდენად სტუმართმოყვარენი ვართ ქართველები, რომ საკუთარ ქვეყანაში მოქცეულ ჯორჯ ბუშს „ვარდების ხელისუფლება“ თავმომწონედ ეგებება, თითქოს ჯორჯ ბუშს აეშენებინოს ჩვენი ქვეყანა. საქართველოში მისი სახელობის ქუჩაც კი გვაქვს.

გამართულმა აქცია-პერფორმანსმა ჯორჯ ბუშის ბანერთან სახელწოდებით „არა – ბუშს“ საქართველოში ჯორჯ ბუშის ქუჩის არსებობა გააპროტესტა. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, რეჟისორმა ზაზა სვანიძემ განაცხადა, რომ საქართველოში იმ პრეზიდენტის ქუჩის არსებობა, რომელიც საკუთარ ქვეყანაშიც კი არ უყვართ, ყოვლად დაუშვებელია.

**ზაზა სვანიძე:** „სოლიდარობას ვუცხადებთ იმ პატიმრებს, ვინც გუანტანამოს ციხეში აწამეს, ჩვენ, ქართველები, ველური ტომები არ ვართ და ვიცით, თუ რა ხდებოდა გუანტანამოს ციხეში.

ჯორჯ ბუში დამნაშავეა და ის უნდა გადაეცეს ჰააგის ტრიბუნალს.

გვინდა მხოლოდ მშვიდობა და მოვითხოვთ, რომ საქართველოში ამ ქუჩას სახელი შეეცვალოს“.

**მიშა მესხი, აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი:** „ჩვენი მიზანია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობა და ვაპროტესტებთ ჯორჯ ბუშის ქუჩის არსებობას თბილისში, იგივე შემიძლია განვაცხადო ჰეიდარ ალიევის ქუჩასთან დაკავშირებითაც“, – დასძინა მან და მშვიდობის მტრედები გაუშვა.

**მერი ქურასბედიანი**

№ 56. პარასკევი, 26 მარტი, 2010 წელი.

თვალსაზრისი

# „ჩერქეზების გენოციდის აღიარებით რუსეთს გავაღიზიანებთ, მაგრამ ისტორიულ სიმართლეს აღვადგენთ“

## ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან



**— ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებთ თბილისში გამართულ ორდღიან კონფერენციას, რომლის ფარგლებშიც ჩერქეზმა ხალხმა საქართველოს პარლამენტს კრემლის მიერ ჩადენილი დანაშაულების აღიარების შესახებ რეზოლუციის მიღების თხოვნით მიმართა?**

— აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან არავის მივუწვევივარ. მეტსაც გეტყვით: კონფერენციაზე არ იყო წარმოდგენილი საქართველოში მოღვაწე ერთადერთი ჩერქეზი მეცნიერი თამარ უჯუხუ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონიუნქტურული დონის შეხვედრა იმართებოდა. ზოგადად კი, ჩერქეზების ეს მცდელობა, საქართველოს მხრიდან მათთვის დახმარების ხელის გაწოდება და ჩერქეზების ტრაგედიაზე ასეთ მაღალ დონეზე საუბარი მისასალმებელია. მსგავს დონეზე აღნიშნულ თემაზე თურქეთშიც კი არ უსაუბრიათ. ჩემი ინფორმაციით, კონფერენციაზე არა მხოლოდ ჩერქეზებზე, არამედ სხვა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების შესახებ, მათ მდგომარეობაზე და იქ მიმდინარე პროცესებზე იმსჯელეს, რასაც ასევე მივესალმები, თუმცა მიმაჩნია, რომ საქართველოს მხრიდან უფრო კვალიფიციური წარმომადგენლობა უნდა ყოფილიყო, თორემ უცხოეთიდან ნამდვილად საკმაოდ კვალიფიციური ექსპერტები იყვნენ ჩამოსულები. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვას, ეს გასაკვირი და ახალი არ არის. მსგავსი ტიპის მიმართვები მსოფლიოში მრავლად მოიპოვება. გაგახსენებთ სომხეთის აქტივობას, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა და საფრანგეთის, შვედეთისა და ამერიკის პარლამენტებმა სომხეთის გენოციდზე რეზოლუციები მიიღეს. თუ სომხების მიმართ შეიძლება რეზოლუციების მიღება, რატომ არ შეიძლება ჩერქეზების მიმართ?!

**— დეპუტატ გია თორთლაძის განცხადებით, აღნიშნულ თხოვნას საქართველოს პარლამენტი მომავალში აუცილებლად განიხილავს. როგორ ფიქრობთ, რა რეაგირება შეიძლება, მოჰყვეს ამას რუსეთის მხრიდან?**

— თავის დროზე ბოლშევიკური ლიდერების მიერ ძალიან ხმამაღალი განცხადება გაკეთდა იმის შესახებ, რომ ისინი რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრენი არ არიან და ამ მოტივით იმპერიის ფინანსური ვალების გადახდაზე უარს აცხადებენ. აქედან გამომდინარე, რატომ უნდა გაუკვირდეს რუსეთს, თუ საქართველო რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდის ფაქტს აღიარებს?! რა საკვირველია, რუსეთისთვის ეს არასასიამოვნო ფაქტი იქნება, თუმცა არა მგონია, საქართველოს წინააღმდეგ სერიოზული არგუმენტი აღმოაჩნდეს. ზოგადად, რუსეთს საქართველოს ნებისმიერი ქმედება აღიზიანებს. ძალიან კარგად მესმის, რომ რუსეთის ინტერესებს ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც არა კონიუნქტურას უნდა ექვემდებარებოდეს, არამედ იმ დამოკიდებულებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩერქეზულ ტომსა და ქართველებს შორის არსებობდა. მინდა, ობიექტური ვიყო და განვაცხადო, რომ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ჩეჩნებზე უფრო მეტად ჩერქეზების წარმომადგენლები იბრძოდნენ. ისიც ძალიან კარგად მახსოვს, რომ როცა 2008 წლის აგრესია განხორციელდა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩერქეზებმა საქართველოს საელჩოებთან რუსეთის მხარდამჭერი აქციები გამართეს. მაშინ ისინი კონიუნქტურული ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ და ეგონათ, რომ ამ მხარდაჭერით რუსეთს მათთვის მნიშვნელოვან ორ საკითხზე დაითანხმებდნენ: ჩერქეზების გენოციდის აღიარება და სოჭში ოლიმპიადის ჩატარების გადაწყვეტილების გადახედვა (მოგეხსენებათ, ოლიმპიადა სწორედ ჩერქეზების წინაპრების საფლავებზე იმართება). თუმცა, როგორც ვხედავთ, ამ აქციებით ჩერქეზებმა რუსეთისგან ვერაფერი მიიღეს და ალბათ, ცოტა გონს მოეგნენ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ ჩერქეზულ დელეგაციაში, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ აფხაზები დამოუკიდებლად უნდა იყვნენ. პირადად მე ამას იმას მივაწერ, რომ ჩერქეზ ერთან დიდი ხნის განმავლობაში კონტაქტები არ არსებობდა და საქართველოს მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიელი ერების მიმართ მხოლოდ შედეგზე არაორიენტირებული ნაბიჯები იდგმებოდა, რუსეთი კი ამ ფონზე მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ ინფორმაციულ ინტერვენციას ახორციელებდა. ჩვენი მხრიდან შედეგზე არაორიენტირებულ კიდევ ერთ ნაბიჯად მიმაჩნია საქართველოს პარლამენტის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტებისადმი ამას წინათ მიღებული მიმართვაც. რაც შეეხება ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარებას, ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები სულ სხვა საკითხია. შეიძლება, ამით რუსეთი გარკვეულწილად გაღიზიანდეს, მაგრამ საქართველო ჩერქეზი ხალხის გულს მოიგებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი, აღიარებს ისტორიულ სიმართლეს. ასევე საყურადღებოა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა, არაერთი მიმართვის მიუხედავად, ჩერქეზი ხალხის გენოციდი არ აღიარა.

**— თქვენ არაერთხელ განგიცხადებიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ არანაირი პოლიტიკა არ გააჩნია. დღეს ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იდგმება. შეიცვალა თუ არა მდგომარეობა რეალურად და როგორ შეაფასებთ ამ კუთხით ხელისუფლების ნაბიჯებს?**

— დიახ, რაღაც ნაბიჯები ნამდვილად იდგმება, მაგრამ ჯერჯერობით ჩამოყალიბებული პროგრამა არ იკვეთება. შეიძლება, დიასპორების საკითხებში ახალი მინისტრის მოსვლის შემდეგ მსგავსი პროგრამა მართლაც გაჩნდა. საერთოდ, პროცესი პოლიტიზებული და ზედმეტად ნაჩქარევი მეჩვენება. ყველაფერი ეს უფრო დინამიურად და უკეთესი „შეფუთვით“ შეიძლება გაკეთდეს, რათა ეს პროცესი ბევრად უფრო პროდუქტიული იყოს. თბილისში ჩატარებული კონფერენცია იდეის თვალსაზრისით ძალიან კარგი იყო, შესრულების მხრივ — ვერ გეტყვით, რადგან როგორც გითხარით, იქ არ ვყოფილვარ და არაფერი ვიცი. როგორ იქნება გამოყენებული მისი შედეგები რეგიონში სამშვიდობო პროცესების შესანარჩუნებლად, ვერ გეტყვით. ჯერჯერობით მეჩვენება, რომ საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯები უფრო ემოციურია და არა ცივ გონებაზე დაფუძნებული.

**— მინდა, გკითხოთ თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებზე, რომელიც ამერიკის კონგრესის მიერ სომხების გენოციდის აღიარების შესახებ მიღებული რეზოლუციის შემდეგ დაიძაბა. ხომ არ ფიქრობთ, რომ მსგავსი რეზოლუციები თურქულ-სომხურ ურთიერთობას ჩიხში შეიყვანს? თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება მსგავსი რეზოლუციების მიღება?**

— წინასწარ ვამბობდი, რომ სომხურ-თურქული ურთიერთობების დალაგება ასე მარტივად ვერ მოხერხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი, ერთი შეხედვით, ფორსირებულად მიდიოდა. ამ დაახლოების პროცესს ორივე ქვეყანაში დიდი წინააღმდეგობა აქვს. თურქეთის პარლამენტში და საზოგადოებაშიც სომხეთთან ურთიერთობების დაახლოების წინააღმდეგნი არიან. სომხეთში კი აღნიშნულ პროცესს, პირველ რიგში, ყარაბაღული წარმოშობის სამხედროები ეწინააღმდეგებიან. მოგეხსენებათ, რომ ყარაბაღიც თურქეთთან დაახლოების პროცესის კატეგორიული წინააღმდეგია. ამ ყველაფერს აზერბაიჯანის მყარი პოზიცია ემატება, ამიტომ ეს პროცესი ძალიან დიდ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. ვერ ვიტყვი, რომ თვითონ რუსეთის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით მკაფიო იყოს, რადგან მას ძალიან ეშინია იმის, რომ რეგიონში ინიციატივა თურქეთმა აიღოს. რუსეთი სიტყვიერად ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას მხარს უჭერს და მაქსიმალურად ცდილობს, თურქულ-სომხური ურთიერთობების დაახლოების პროცესი მისი კონტროლიდან არ გამოვიდეს. თურქეთი, თავის მხრივ, ამ ყველაფერს ხედავს და ცდილობს, ამ ინიციატივის მოგვარებაში რუსეთი მაინცდამაინც არ ჩართოს. რაც შეეხება ამერიკის კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლუციას, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მხრიდან ერთგვარი გაფრთხილება. პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს არის ერთგვარი სპექტაკლის ნაწილი, რომლითაც თურქეთს აგრძნობინეს, რომ მას სამხრეთ კავკასიის სივრცეში თავისუფლად მოქმედების უფლებას არავინ მისცემს. პირველ რიგში, ეს ეხება არა სომხურ ურთიერთობებს, არამედ ირანთან ურთიერთობის თემას. თურქეთმა მოინდომა, იმაზე მაღლა გადამხტარიყო, ვიდრე შეუძლია და რეგიონში ლიდერობა მოეპოვებინა. თურქეთმა მოინდომა, საერთო ბოიკოტის ფონზე ირანთან ურთიერთობები გაეღრმავებინა და ისრაელთან ურთიერთობები შეემცირებინა. დღეს თურქეთისა და ისრაელის ურთიერთობებიც საკმაოდ დაძაბულია. მსგავსი რამ ათწლეულების განმავლობაში არ ხდებოდა. მოგეხსენებათ, რომ ახლო აღმოსავლეთში ისრაელი ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა. ყველაფერ ამას თუ გავაანალიზებთ, დასკვნა ასეთია: ამერიკელებმა თურქები გააფრთხილეს.

**— როგორ შეიძლება, მოგვარდეს თქვენს მიერ ჩამოთვლილი სირთულეების გათვალისწინებით თურქულ-სომხური პროტოკოლის საკითხი?**

— მაინც მგონია, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ დოკუმენტს ხელს მოაწერენ, მაგრამ მოსალოდნელია საზღვრების გახსნის საკითხების გარკვეული პედალირება. თურქეთი ხედავს მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულებას და იმ გარკვეულ მოთხოვნებს, რომელსაც კულუარულად აყენებენ. თურქეთი სვამს კითხვას, ვინ უნდა გააკონტროლოს სომხეთის საზღვარი? სადღეისოდ იქ რუსი მესაზღვრეები დგანან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თურქეთს აქვს უფლება, საზღვრებიდან რუსების მოშორების საკითხი დააყენოს, მაგრამ ანკარის მხრიდან ეს საკითხი ისმება და მსგავსი საკითხები გაუთავებელ დიპლომატიურ კამათში გადადის. ვთვლი, რომ აღნიშნული პროცესი გაგრძელდება და მას არავინ შეაჩერებს, მაგრამ როდის დასრულდება და რა ფორმით, ამის თქმა ძალზედ ძნელია.

**— სიტუაცია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორისაც იძაბება. ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტები საომარი მოქმედებების შესახებ ღიად აკეთებენ განცხადებებს. სომხეთის პრეზიდენტის ბოლო განცხადების თანახმად, ერევანი ომისთვის მზადყოფნას აცხადებს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია საომარი მოქმედებების დაწყება?**

— თქვენთან საუბრისას ვახსენე სპექტაკლი, რომელიც ამერიკელებმა თურქეთთან მიმართებაში გაითამაშეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანის პოზიცია პიარის შემცველი ნაბიჯია, რადგან ბაქო აბსოლუტურად სამართლიანად არის შეურაცხყოფილი იმ პროცესებით, რომელიც მის ირგვლივ მიმდინარეობს. მისი ტრადიციული პარტნიორი თურქეთი უცებ ისეთი პოლიტიკის წარმოებას იწყებს, რომელიც აზერბაიჯანისთვის მომგებიანი არ არის. როდესაც თურქულ-სომხური ურთიერთობების გაღრმავება დაიწყო, ანკარასა და ბაქოს შორის კონსულტაციები გაიმართა და დაისვა საკითხი, როგორ გადაწყდებოდა ყარაბაღის პრობლემა? მართალია, მაშინ ანკარამ პირობა დადო, რომ თურქულ-სომხური მოლაპარაკებებისა და პროტოკოლის გაფორმებისას მასში ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხიც ჩაიდებოდა და ამ ურთიერთობების გაღრმავებისას ყარაბაღის საკითხი მართლაც იხილებოდა, მაგრამ მერე ამაზე საუბარი შეწყდა. თურქი და სომეხი დიპლომატების შეხვედრების დროს ყარაბაღის საკითხი მეასეხარისხოვანი გახდა. გახსოვთ, როცა ბარაქ ობამა თურქეთში ჩავიდა, მაშინ ალიევიც იყო მიწვეული, თუმცა მან სტამბოლში ჩასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა მანამ, სანამ მოლაპარაკებებისას ყარაბაღის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არ გახდებოდა. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ბაქოში თურქი ჯარისკაცების საფლავზე არსებული დროშა ჩამოხსნეს. აქვე მინდა, ძალიან მნიშვნელოვანი რამ გითხრათ, რაც ფართო საზოგადოებამ შეიძლება, ნაკლებად იცის: თურქეთ-აზერბაიჯანის განსაკუთრებული მოლაპარაკებებიდან გამომდინარე, ანკარა თურქეთში მიმავალ აზერბაიჯანულ ენერგომატარებლებში სხვა ფასს იღებს, ხოლო შემდგომ მათ ევროპაში სულ სხვა ფასად ჰყიდის. ამით თურქეთი აზერბაიჯანული ენერგომატარებლისთვის არა უბრალოდ ტრანზიტული ქვეყანა, არამედ ერთგვარი დისტრიბუტორი გახდა და ეს თურქულ-აზერბაიჯანულ მოლაპარაკებებში დევს. ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ ეს ურთიერთობები ორი მოძმე ერის ურთიერთობებია. სწორედ აქედან გამომდინარე მოითხოვა აზერბაიჯანმა ამ ყველაფერზე პასუხი. რაც შეეხება ომის ალბათობას, მიმაჩნია, რომ ეს პიარის ნაწილია, თუმცა ჯარის რაოდენობისა და შეიარაღების თვალსაზრისით, ორივე ქვეყანაში ძალიან სერიოზული მზადება მიდის. ეს ყველაფერი იმდენად სერიოზულია, რომ რუსული პოლიტელიტის საუბარი იმაზე, რომ საქართველო თავიდან იარაღდება და მილიტარიზებული განწყობებია, სასაცილოა იმასთან შედარებით, რაც სომხეთში და აზერბაიჯანში ხდება. სომხეთს აქვს რაკეტები ეს-300, რომელიც რეგიონში სხვას არავის აქვს და რომლითაც ძალიან მარტივად შეუძლია, ბაქო დაანგრიოს. თავის მხრივ, აზერბაიჯანს 100 000 ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა ჰყავს. სპეციალისტების შეფასებით, მართალია, სომხური არმია უფრო მცირერიცხოვანია, მაგრამ ბევრად უფრო მობილური.



**ლევან ჭითანავა**

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

ინფორმაცია

## პირვანდელ ადგილზე ნიკა ივანიშვილი დავით აღმაშენებლის ძეგლს დააბრუნებს

**„სახალხო დემოკრატების“ ლიდერი, თბილისის მერობის კანდიდატი ნიკა ივანიშვილი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში დავით აღმაშენებლის ძეგლის პირვანდელ ადგილზე დაბრუნებას აპირებს.**

**„სახალხო დემოკრატებმა“ აღმაშენებლის ძეგლის დიღომში გადატანა გააპროტესტეს და საკუთარ მხარდამჭერებთან ერთად ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე აქცია გამართეს.**

**ივანიშვილის განმარტებით, „ბრძენი მეფისა და უძლეველი მხედართმთავრის ძეგლის ტრასაზე განთავსება დაუშვებელია“.**

**— არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში დავით აღმაშენებლის ძეგლი მის პირვანდელ ადგილზე დაბრუნდება, თუმცა, ამასაც ჩვენ თბილისელებს დავეკითხებით. თუ თქვენ ჩათვლით, რომ დიღომშიც უნდა იდგეს ჩვენი დიდი მეფის ძეგლი, ჩვენ თქვენთან ერთად დიღომში შევარჩევთ უკეთეს ადგილს ვიდრე ეს ტრასაა, გამოვაცხადოთ კონკურსი და აღმაშენებელს თბილისში მეორე ძეგლი დავუდგათ, — განაცხადა ივანიშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

აქ მგონიაობა არაფერ შუაშია!

# აფხაზნი საგიორგიანოს ძველი მცველნი არიან და არა ეთნიკური უმცირესობა

## შეგონებანი საბაზო ქვეცნობიერი წარმოდგენების დამკვიდრებისთვის

*უერთოდ არ გაისროლის ჩვენის აფხაზის ისარი (ხევსურული თქმა)*

**თუ რომელმა მხარემ უნდა მოინანიოს დანაშაული მომხდარში, თავად განსაჯეთ, როცა: პირველად „კავკასიის თავდაცვითი სისტემა“ ქართველმა „ფეოდალ-პოლიტიკოსებმა“ ნებაყოფლობითი ტრაქტატით გავარღვევინეთ რუსებს, როცა: დამოუკიდებელი ქვეყანა, უკვე მეორედ, ქართველმა სოციალისტებმა მივუტოვეთ „თანამოაზრე“ რუსებს, როცა: კავკასიონის მცველი აფხაზები ქართველმა „პატრიოტმა მეცნიერებმა“ გავრიყეთ საკუთარი ისტორიიდან, როცა: თბილისში წამოწყებული უგუნურება — სამოქალაქო ომი, ქართველმა „პატრიოტებმა“ ტანკებით შევიტანეთ აფხაზეთში, ხოლო სამშვიდობო მისია, ისევ ნებაყოფლობით, მესამედ ისევ რუსებს დავუტოვეთ. ამიტომ, მართალია აქ “ვეფხსა და მოყმეს“ ველარ გაარჩევ, მაგრამ სამომავლო ჭეშმარიტება ვიცი:**

**უგუნურთა დანაშაულებრივ ომში „ერთ სამშობლოს ორმხრივ შეწირულთა“ ხსოვნის ცერემონიალები ერთობლივად უნდა ტარდებოდეს!**

**ბატონებო!**

ვინაიდან რუსეთთან მიმართებაში სრულად ვიზიარებ სახელმწიფო პოლიტიკას, მივესალმები პარლამენტის ინიციატივას ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტებთან ურთიერთობის დამყარებას, თავს მოვალედ ვთვლი, მოგაწოდოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც, ვფიქრობ, თეორიულ საფუძვლად წაადგება ხელისუფლების ამ პოლიტიკას და არა მარტო მას. საქმე ის გახლავთ, რომ:

### ღია წერილი ყველას — პრეზიდენტს, კათოლიკოს-პატრიარქს, ინტელექტუალებს, ექსპერტებს, სახალხო დიპლომატებს, მედიას

მე თავიდან აღმოვაჩინე „კავკასიის თავდაცვითი სისტემის“ ანუ ლეგენდად შემონახული „ჯურღაის ფარის“ ისტორიულად არსებობის ფაქტი, რაც 1993 წლიდან ჩვენი კვლევებისა და ქართველი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების „შეცდომებთან“ ბრძოლის ერთადერთი საგანი იყო. უხსოვარი დროიდან, ეს თავდაცვითი ფარი კავკასიონის მთაგრეხილის მთელ სიგრძეზე მომთაბარეთა, ანუ ბარბაროსთა მოულოდნელი გარღვევიდან სამიწათმოქმედო სივრცის უსაფრთხოებას ემსახურებოდა. უნაგირული პრინციპით არსებულ, გასამხედროებულ დასახლებათა საცხოვრისები (დაბნებიძ, საგიორგიანოს მთელ პერიმეტრზე ყველა სტრატეგიულ გეოგრაფიულ გასასვლელში დაფიქსირებული, “აბაზოების ამ ინსტიტუტის“ ჩრდილო-კავკასიური ნაწილი მოიცავდა მდ. ყუბანის მარცხენა შენაკადთა აუზს და მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროს. „მეცნიერთა“ მიერ ქართველთა გონებაში მტრის ხატად ჩაბეჭდილი „ჩვენი აფხაზი“, ანუ აბასები ანუ აფსარები, რაც აფხაზური ლექსიკური სუფიქსირებით იგივე აფსუებია, „კავკასიის თავდაცვითი სისტემის“ დღემდე შემორჩენილი წარმომადგენლები არიან, „აბაზა ხალხი“, ანუ ისტორიული ჯიქები! მათ აღმოსავლეთით სისტემას მონაცვლეობით ემსახურებოდნენ სვანები, დვალნი, მოხევენი, ხევსურნი, წოვა თუშნი, ალბანელნი. კავკასიონის უსაფრთხოების ეს უწყვეტი ჯაჭვი ქართულ სამეფოთა გავლენის სფეროში მანამ შედიოდა, სანამ ე.წ. „მოზდოკის ხაზზე“ რუსი კაზაკობა გამოჩნდებოდა. რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატმა, 1795 წლის თბილისის აღებამ და „კავკასიის 30-წლიანმა ომმა“, „კავკასიის თავდაცვითი სისტემის“ გარღვევა და ასევე, მისი უსახელოდ მივიწყება გამოიწვია, მათ შორის თავად აფსუებშიც.

იმ მიზნით, რომ ჩემს იდეაზე თავად აფხაზთა რეაქცია შემეტყო, კვლევათა დასკვნებს აფხაზეთის სეპარატისტ ხელისუფლთა პირველ პირებს რეგულარულად რუსულ ენაზე ვუგზავნიდი საკოორდინაციო ცენტრის არხით. ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს პირველივე მოსინჯვიდან ძნელად დასაჯერებელი ეფექტი მოჰყვა! აფხაზთათვის აბორიგენობის მამტკიცებელი ეს ფორმულა სასიცოცხლოდ უფრო აუცილებელი აღმოჩნდა, ვიდრე აბორიგენობის „ქართველებისგან“ ეთნიკური განსხვავებულობით მტკიცება ერთობლივი ტრაგედიის მიზეზი! „იავნანამ რა ჰქმნასი“ არ იყოს, ეს თეორია, დროებით ჩვენზე ხელჩაქნეული „ჩვენის აფხაზის“ განწყობის შეცვლისათვის საკუთარი ჩოხასავით მორგებული აღმოჩნდა! სახელმწიფოებრივ დონეზე მისი ამოქმედება იდეოლოგიურ გარღვევებს სხვა მნიშვნელოვან ფრონტებზეც გამოიწვევს:

1. რუსებისთვის მთავარი იარაღის ფეხებქვეშ გამოცლის, — ეთნოდაპირისპირებათა გამოყენებით იმპერიული ზრახვების აღსრულების.

2. ჩრდილო კავკასიის ხალხთა, კავკასიონის ქედის უღელტეხილთა უსაფრთხოების დარაჯთათვის, ოდინდელი მისიის მახსოვრობის აღდგენა! და განსაკუთრებით:

3. აბსურდული „მეცნიერული ანტიაფსუური“ მითებით გალიზიანებული ქართული ფსიქიკის ნათელფენა, რის შედეგობრივი უბედურებაც, დღემდე შეუფასებელი და დაუსჯელი, შევარდნაძე-კიტოვანის სამხედრო ავანტიურა გახლავთ!

მასალები და მტკიცებულებანი, დასრულებული სახით განთავსებულია ვებსაიტზე: www.eradze.ge/публицистика/абхазия/научное решение абхазской проблемы/статья1, статья2. ტელ: 877 42-07-18.

**პატივისცემით**

**გაიოზ ერაძე**



განსჯა

*ექსტრემალურ რეჟიმში მიმდინარე ჩვენი ყოფა-ცხოვრების შემხედვარეს, თავში ყველაზე გამბედავი კაცის — ნაპოლეონის სიტყვები წამომიტივტივდა. ფაქტია, რაც ჩვენს საზოგადოებას არაერთხელ გაუბედეს, მხოლოდ ნაპოლეონის გაბედულების მქონე სუბიექტს თუ მოუვიდოდა თავში. საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ; რჩება კი სხვა გამოსავალი, კამიუს „უცხოს“ სინდრომით დასნეულებულ, გაუცხოებულ და ინფანტილურ თანამედროვე ადამიანს, ტერორიზმს ტერორიზმი არ დაუპირისპიროს და შიშველ, მაგრამ უკვე უგრძნობ ნერვებზე შეხებით არ გამოაფხიზლოს დროდადრო თავიც და მსოფლიოც? ვფიქრობ სხვა გზა აღარ დაგვიტოვა დედაბუნებამ და პროგრესმა, მაგრამ ხშირად ესეც რომ არ ჭრის?!*

# თანამედროვე ტერორიზმის ანატომია,

## ანუ ბებერი კურტიზანის უიღბლო რომანი



*გაუბედაობა სუსტად განვითარებული გონების ბრალია.*

*ნაპოლეონი*

მაინც რა არის ტერორიზმი, რომლითაც ასე დაღდასმულია XX საუკუნე? — დღეს იგი სახელისუფლებო ტექნოლოგიების უპირველეს იარაღადაა ქცეული. ტერორი ლათინური სიტყვაა და შიშს, საშინელებას ნიშნავს, ენციკლოპედიებში თუ ჩავიხედავთ, ამ სიტყვის უფრო ფართო ახსნას მოვიძიებთ, — პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დაშინება, გამოხატული ფიზიკურ ძალადობაში, რაც მათ ფიზიკურ განადგურებასაც არ გამორიცხავს.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის განმარტებით: „ძალის ან ძალადობის კანონსაწინააღმდეგო გამოყენება მოქალაქეების ან საკუთრების წინააღმდეგ, რომლის მიზანია, აიძულოს სახელმწიფო, ან მოსახლეობა, ან მისი რომელიმე ნაწილი გარკვეული ქმედების ჩასადენად, გამართლებული მათ მიერ ან საზოგადოებრივი მიზნებით“. ამერიკის თავდაცვის სამინისტრო ტერორიზმს განმარტავს, როგორც - „ძალადობის განზრახ გამოყენება ან ძალადობის მუქარა, შიშის დათესვის მოტივით და იმ განზრახვით, რომ აიძულოს ხელისუფლება ან საზოგადოება, ჩაიდინოს გარკვეული ქმედება, ან შეაშინოს ისინი თავისი პოლიტიკური, რელიგიური და იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად“. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი ფაქტობრივად იმეორებს ამერიკის განსაზღვრებას, ოდნავ ცვლის აქცენტებს, და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამას აკეთებს იურიდიულ ფორმულირებებში.

თანამედროვე მსოფლიო, განსაკუთრებით კი ზესახელმწიფოები, II მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ღია, ფიზიკურ ომს, აშკარა დაპირისპირებას, ფსიქოლოგიური ომის ხერხებით მოქმედებას ამჯობინებენ. მას შემდეგ ტერორიზმს №1 იარაღად იყენებენ გავლენის სფეროების, გასაღების ბაზრის და ახალი მსოფლიო გადანაწილებისთვის ბრძოლაში. ფიზიკურ პლასტებზე ზემოქმედებიდან, უშუალოდ სულიერ, ფსიქო-ემოციურ პლასტებზე ზემოქმედება გამხდარა თანამედროვეობისთვის აქტუალური. საამისოდ ყველაფერი გამოდგება, მით უფრო თანამედროვე ხელოვნების ისეთი ჰუმანური და ყოვლისმომცველი დარგი, როგორიც კინემატოგრაფი და ტელევიზიაა. ფსიქოლოგიური ზეწოლის საუკეთესო ნიმუშები გახლავთ ასე მომრავლებული ფილმები მსოფლიო მასშტაბის კატაკლიზმებსა და ბუნებრივ კატასტროფებზე, რომლებიც თითქოს აჩვევენ ჩვენს ფსიქიკას ამ გარდაუვალ მოვლენებს. ეს, გაგიკვირდებათ, მაგრამ, ერთი მხრივ, დადებითი მუხტის მატარებელი ფენომენიცაა, რადგან ჩვენს ინფორმაციულ საუკუნეში, როდესაც დედამიწა ისე დაპატარავდა, რომ ხელისგულზე გვეტევა, ჩვეულებისამებრ ხდები მისი ყველა კუთხე-კუნჭულის მცხოვრებთა ჭირისუფალი. ამ დროს ფსიქიკურად მედეგი უნდა იყო, რათა ყოველდღიური შოკისგან ფსიქიკა არ შეგერყეს და პანიკაში არ ჩავარდე. ამ მექანიზმის არსებობაში და ათასგვარი ტრილერების გარკვეულ პოზიტიურ როლში იმ ფაქტმა დამარწმუნა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტი კარგა ხანს სრულიად გულგრილად და ყოველგვარი ემოციის გარეშე აღვიქვი, რადგან „ტყუპებზე“ განხორციელებული საჰაერო შტურმი მორიგ ამერიკულ ბლოკბასტერად ჩავთვალე. ნელ-ნელა, შენელებული კადრის პრინციპით აღვიქვი რაც ხდებოდა და მივხვდი, რომ სწრაფი, გამანადგურებული დარტყმისგან ჩემი გონება დაცული აღმოჩნდა. რას ვიზამთ? რეალობაა ასეთი! ბუნებას ვმტრობთ, ცუდად ვექცევით, ისიც გვიტევს და ხანდახან კუთხეშიც გვიმწყვდევს. „ტყუპების“ აფიორა კი მალე გაირკვა, — მილიარდერმა ლარი სილვერშტეინმა „ტყუპები“ 2001 წლის 24 ივლისს აილო იჯარით, რომლის პირობებიც ერთობ არაორდინალური გახლდათ: მათი დანგრევის შემთხვევაში მას „ტყუპების“ აღდგენის შესაძლებლობა ეძლეოდა. მან მაშინვე დააზღვია შენობები 3,55 მლრდ. ამერიკულ დოლარად. დაზღვევაც ასევე „ნიჭიერად“ იყო შედგენილი და მას, სასამართლომ, „ტყუპების“ დანგრევის შემდეგ, 4,55 მლრდ. მიაკუთვნა, თანაც იმ პირობით, რომ სანამ აღდგენა მიმდინარეობს, ის იჯარასაც არ იხდის, ესეც იმავე უცნაური ხელშეკრულების საფუძველზე. ყოველ დილას ბატონი ლარი თავის ქალიშვილთან ერთად საუზმობდა „ტყუპების“ ყველაზე მაღალ სართულზე განთავსებულ რესტორან „მსოფლიოს სარკმელში“, მაგრამ ტერაქტის დღეს არც ის და არც მისი ქალიშვილი იქ არ გამოცხადებულან. დასკვნები თავად გააკეთეთ.

ტერორის უიშვიათეს ნაირსახეობად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რაც უკვე უიმედო „იმედის“ „ტერორისტებმა“ შემოგვთავაზეს. აქვე პრეზიდენტის „იმედიანი“ განცხადებაც გავიხსენოთ, — თვით დემოკრატიის სავანედ მიჩნეულ აშშ-შიც მოხდა ამგვარი ფაქტიო, — ის, უდავოდ, 1938 წელს ორსონ უელსის გახმაურებული რომანის — „სამყაროთა ბრძოლის“ რადიოსატელეფონო სპექტაკლს გულისხმობდა, როცა ამერიკულ საზოგადოებას მარსიანელთა დედამიწაზე შემოჭრის შესახებ ეუწყა და ქვეყანა საყოველთაო ისტერიამ მოიცვა.

ისტორია გაძეძგილია ამგვარი „ტრიუკებით“; საინტერესო აქ სხვაა, — ვისზე იყო ის გათვლილი, სეპარატისტებზე, ჩვენი ექსტრავაგანტურობით და არაორდინალური ქცევით გამორჩეულ რუსეთზე თუ მხოლოდ საკუთარ, უკვე ყველაფერზე აცრილ მოსახლეობაზე?! ჩემი აზრით, არც ერთზე, არც მეორეზე და არც მესამეზე, — „იმედგაცრუებულთა“ შოუ გათვლილი იყო იმ „ბებერ კურტიზანზე“, ევროპა რომ ჰქვია და რომელსაც ასაკობრივი მარაზმის გამო ყველაზე მეტად შაკიკის, ანუ თავის ტკივილის ეშინია, მით უფრო სხვისთვის თავის ტკივილის. იმ ევროპაზე, რომელიც საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკეტილი და გამწარებული იცავს თავის „უბიწოებას“ გარე სამყაროსგან და რომელსაც სხვა ძლიერი თავის ტკივილი აწუხებს, — ოკეანისგაღმელი უძღები შვილი, რომელიც დროდადრო უბრუნდება თავის დედა წიაღს, მაგრამ არა მონანიებით, არამედ სულ უფრო და უფრო გაზრდილი მადით და მოთხოვნილებებით. მისგან თავის დასაცავად და მის საპირწონედ, თავად მოფამფალებული „ბებერი ქალბატონი“ იმგვარ კავალერს ირჩევს, ფეხზე ძლივს მდგარი რუსეთის სახით (იხ. ფოტო — ავტ.), რომელიც სულაც არ გამოირჩევა რაინდული თვისებებით; უფრო მეტიც, ის სუტენიორივით ექცევა „ხანდაზმულ ქალბატონს“... და „შეურაცხყოფას აყენებს“, თანაც ყველაზე კრიტიკულ დროს, — ზამთარში.

დღეს ასე დაპატარავებულ მსოფლიოში, ასე შეკუმშულ დედამიწაზე პრობლემების ურთიერთგაზიარების და ურთიერთდახმარების, პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობის გარეშე შორს რომ ვერ წახვალ, ფაქტია, თუმცა როგორც ჩანს არა ყველასთვის მისაღები და გასათავისებელი ფაქტი. ევროპას ვერ გაუცნობიერებია, რომ უნდა თუ არა, მოუწევს არა მხოლოდ ევრაზიის კონტინენტის, არამედ დანარჩენი მსოფლიოს პრობლემების გაზიარება და გათავისებაც, რათა თავისი ქრონიკული უპასუხისმგებლობის გამო, ხვალ ამ პრობლემების დაძლევისთვის გაჩაღებულ მსოფლიო ომის ფერხულში არ აღმოჩნდეს ჩაბმული, როგორც უკვე მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ღმერთმა არ ქნას, ისტორიამ, რომელსაც განმეორებები ძალიან უყვარს, იგივე სცენარი არ შემოგვთავაზოს დღესაც, თუმცა არაფრისგან ვართ მანამდე დაზღვეული, ვიდრე ევროპა თავის რუსულ ორიენტაციას და ასევე რუსულ სლოგანს — „ჩემი „ხატა“ განაპირასაა“, არ შეცვლის.

**ქეთი ჯაყელი**

ნანახი და გაგონილი

## ცოტა ხუშპაროვზე

1987 წელს გამოვიდა გიორგი სანადირაძის წიგნი „ნადირობა მგლეზზე“. დიდი ინტერესით წავიკითხე და ჩემი აღშფოთებაც დიდი იყო, რადგან დავინახე, რომ წიგნი თავიდან ბოლომდე ტყუილზე, სიყალბეზე იყო აგებული. მაგრამ ავტორისა რა ბრალი იყო. რა მასალაც მისცეს და რაც პირადად ვარლამ შადურმა უამბო, იმან კიდევაც ნამუსიანად დაწერა. მაგალითად, ხორგვანმა რომ ანდაქელ ბათირა ზვიადაურს დაშინებითა და მუქარით გააცემინა ქისტების ადგილსამყოფელი, ღალატი ჩაადენინა, რის გამოც ბათირას მამამ შაბურამ თავი მოიკლა, ამაზე მართლაც ოსტატურად აკეთებს მინიშნებას. არავითარი თოვლ-ყინვაში კვალის აღმოჩენა არა ყოფილა.

პანკისელი ქისტები მეტისმეტად იყვნენ აღშფოთებულნი ამ წიგნის გამო. იქ ჩასულს მითხრეს, ეგ წიგნი სულ ტყუილია, შენ თუ სიმართლე გაინტერესებს, ჩამოდი და ყველაფერს დაწვრილებით ჩაგაწერინებთო. აქ ზოგიერთი იმ ამბების მონაწილეებიცა ვართო. როგორც ხშირად ხდება ხოლმე გადადებული საქმისა, ჩასვლა ვეღარ მოვახერხე, ზედაც ქვეყნის არევდაქცევის ამბები დაემთხვა და გვიან, როცა ჩავედი (2004 წ.) ხნიერი ქისტები არც ერთი ცოცხალი აღარ დამხვდა. ჩემმა მეგობარმა ხასო ხანგოშვილმა, რომელიც ხიდან ჩამოვარდნილიყო და სიკვდილს ძლივს გადარჩენილი გამოსვლას ვერ ახერხებდა, მირჩია იქვე დუისში ბისოლთი მარგოშვილთან, 84 წლის ჯანმაგარ მოხუცთან მივსულიყავი.

მივედი. ჯერ ისე ვისაუბრეთ, გამომკითხა ვინ ვიყავი, რა მინდოდა. სანადირაძის წიგნიც ვუხსენე.

– ეგ წიგნი, – არც ავტორი ახსენა და არც წიგნის სათაური, – არ გამაგონო! მე თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სამი ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული: გეოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის. ეს იმის მიხედვით, როდის რა მჭირდებოდა. პირველი საშუალო სკოლა მე გავხსენი დუისში და პირველი დირექტორიც მე ვიყავი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყავი რვა წელს, ხალხური შემოქმედების გუნდი მყავდა და ქისტური ცეკვით პირადად მე სამჯერ ავიღე პირველი ადგილი, მერე ახმეტაში პარტიის რაიკომშიც მეკავა თანამდებობები... გაუნათლებელ-გაუგებარი კაცი არა ვარ, ბევრი წამიკითხია, ბევრი გამიგონია, მაგრამ ასეთი უნამუსო ტყუილი, ეგ წიგნი როა, არ ვიცი. კი, მართალია ახმედა ხუშპაროვი დაუნდობელი იყო, ძირითადად რუსების მიმართ, არ ინდობდა არც კაცს, არც ქალს, არც დიდს, არც პატარას, მაგრამ ამას რომ სწერ მწერალი ხარ თუ კანონის კაცი, ისიც დაწერე რატომ აკეთებდა ამას. რუსების ზიზღი ადრიდანვე ყველა ქისტს ჰქონდა, მაგრამ ასე ხელაღებით არავინ მოქცეულა. ახმედა რატომ იქცეოდა ასე და იმიტომ, რომ მიზეზი ჰქონდა. თუ კაცობაზე სდებ თავს, ერთი სიტყვა მგლისკენაც უნდა სთქვა... 1944 წელს ჩეჩენ-ინგუშების გასახლების ოპერაციის დროს მითხოსთან ახლოს, სოფელ ჰაიბახში რვაასამდე ქალი, ბავშვი, მოხუცი ჩაწვეს კოლმეურნეობის საჯინიბოში. გვიშიანმა ჩაწვა. იმ დღეს ნამშობიარები ქალი თავისი ტყუპებით – ჰასანათი და ჰუსეინით იქ ჩაუწვიათ, ხუშპაროვის ნათესავები. რუსებმა ჩეჩნებით სავსე ერთი ვაგონი კასპიის ზღვაში გადაუშვეს. ახლა ისე რამდენი ამოხოცეს ავადმყოფი, მოხუცი, ვინც სახლიდან ვერ გამოდიოდა... ამას აიტანდა ვაჟკაცის გული? შადურს რომ უწერია, ხუშპაროვის ბანდამ ხევსური მწყემსები დახოცა ზემო ხევსურეთშიო, სად არის ზემო ხევსურეთი? მითხოში დახოცეს მიტოვებული, უპატრონოდ დარჩენილი სახლების საძარცვავად გასული ხევსურები. აფრთხილებდნენ ქისტები, ნუ აკეთებთ ამას, თორემ თუ მოგასწარით, დაგხოცავთო. იმასაც ეუბნებოდნენ, თუ ჩასახლებით იქ, ჩასახლდით, მოუარეთ, ისარგებლეთო. ბევრმა ასეც გააკეთა. და მერე დაბრუნებულ ქისტებს ყველაფერი უკლებლივ ჩააბარეს. ის კი არა, საქონელიც კი დაუტოვეს. ეს დიდი ძმობა იყო. ამიტომ იყო ხუშპაროვიცა და სხვა ქისტებიც ხევსურებმა და ფშავლებმა რომ შეინახეს წლების მანძილზე, ზამთრობით.

– სხვა ბევრი არაფერი ვიცი, – აგრძელებს ბისოლთი, – ხუშპაროვზე გეტყვი... 1953 წელი იყო. ახმეტის რაიკომის მდივანმა დამიძახა და მითხრა: ინაური გიბარებს სასწრაფოდ თბილისში, ჩემი მანქანა მზად არი, მოგემსახურებაო. ჩავედი და რის საშვი, სულ ხელით ამიყვანეს ინაურთან. გადამეხვია ეს მეფის ტოლი კაცი და მეუბნება, უნდა მიშველო, თორემ სამსახურიდან მხსნიანო... ბრძანება მივიღე მოსკოვიდან – ხუშპაროვის ბანდას რაღაც მოუხერხე, თორემ პასუხს გაგებინებთო.

– მე როგორ გიშველო-მეთქი?

– როგორა და გავლენიანი კაცი ხარ, შუამავლობა უნდა იკისრო, უნდა როგორმე შემოვირიგოთ ხუშპაროვი და იმისი ბანდის წევრებიო.

– მე არ ვიცნობ პირადად ხუშპაროვს, არ დამენდობა, სჯობია ისევ იმისი ბიძაშვილი ჩავრთოთ-მეთქი მაგ საქმეში. ალალი ბიძაშვილი იყო ხუშპაროვისა აბუბაქარი, ციმბირში გასახლებული, იმისი ჩამოყვანა ვურჩიე. ის ჩამოიყვანეს სასწრაფოდ და იმას დაავალეს შუამავლობა ვითომ შერიგებაზე. აბუბაქარი ბირკიანელი იყო, თუში ცოლი ჰყავდა და ქართველობაზე თავგადაკლულიც იყო. ინაურმა დაარწმუნა, ოღონდაც ხუშპაროვი შეგვირიგდეს და არ დავხვრეტთ, გავასამართლებთ და შენთან ერთად გამოვუშვებთ ციმბირშიო. ციმბირში კი არა, როგორც კი ხელში მოიგდეს, ჯურღმულის მეხუთე სართულზე ჩააგდეს. ორი წელი მიდიოდა იმისი დაკითხვები. აბუბაქარის გარდა კიდევ ასოცი კაცი ჩამოიყვანეს ციმბირიდან დაკითხვაზე. მეც დამაპირისპირეს რატომღაც. ხელფეხზე ბორკილები ედო და ხუთ კაცს ამოჰყავდა და ჩაჰყავდა დაკითხვებზე, ისე ეშინოდათ იმისი გაქცევისა. ორი წლის მერე თავისივე დილეგში დახვრიტეს. მაგ წიგნში კი რა სისულელე სწერია: ვითომ ინაურმა თავისი კაცური სიტყვა შეასრულა, თავისი იარაღით გაუშვეს და მერე ბარისახოსთან ავტობუსის გაძარცვისას აიყვანეს. რისთვის სჭირდებათ ამ სისულელის მოგონება, ან ვინ დაუჯერებს, მე არ მესმის. სეიდა, ჩოქი, მუსა, მუხმადა – შერიგდნენ, შეირიგეს, მაგრამ ხუშპაროვს, რუსები არ აპატიებდნენ, ინაურსა და შადურს კიდეც რომ მოეწადინებინათ, იმათ ვინ ეკითხებოდა, ყველაფერს მოსკოვი წყვეტდა.

მე პირადადაც მომიწია ხუშპაროვთან პირისპირ შეხვედრამ. ეს ასე იყო: 1955 წელს იყო თუ 1956-ს, მამიდაშვილ ვანო ჩორხაულს შევპირდი კაკბეზზე სანადიროდ ამოვალ-მეთქი უძილაურთას. თბილისიდან მარტო ვაზნები წავიღე, თოფები იქა ჰქონდათ. შაბათი დღე იყო. ჟინვალში დიდხანს დამჭირდა შემხვედრი საბარგო მანქანისთვის ლოდინი. შემოდგომის დღე პატარაა. საღამოვდებოდა, უძილაურთის ასახვევში რომ ჩამოვედი, ზედაც მოვიდა ბარისახოს სკოლიდან შინისკენ, უძილაურთისკენ მიმავალი ნოშრევან მადურაშვილი. ტყიანი ფერდობი ავიარეთ სინათლით მუხრიანამდე, უძილაურთის საზამთრო-საზოსლომდე, იქიდან ზევით კიდევ ტყიანი ფერდობის ავლა ღამით შეუძლებელი იყო. შევქეერით იმათ სამძელში, თივაში დავიძინეთ. თურმე იქვე ხუშპაროვი იწვა. ჩვენ არაფერი გაგვიგია. მეორე დილით, როგორც კი გათენდა, გამოვძვერით და აჩქარებით ავუყევით ბილიკს. ნოშრევანი იმავე დღეს უნდა დაბრუნებულიყო სკოლაში, მე ნადირობა მომესწრო. ავედით და ცუდი ამბავი დაგვხვდა – ცნობილი მოლექსე ხევსურა თათარიშვილი მომკვდარიყო. ნადირობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. დარჩენითაც ვერ დავრჩებოდი. პური კი ვჭამეთ და ისევ ერთად ჩამოვიარეთ მე და ნოშრევანმა. ჭალაში, უძილაურთის შესახვევში მანქანები იდგა, ხალხი... ბუსნოზე პატარა სუფრა იყო გაშლილი, იმის ირგვლივ იდგნენ და საუბრობდნენ. ერთ მათგანს შარვალზე წითელი ლენტები რომ ჰქონდა ჩაკერებული და შავ „ზიმზე“ მივხვდით, ვიღაც ძალიან დიდი კაცი იყო. აქეთკენ, მოშორებით იჯდა გზის მუშა მიხა ქავთარაძე (ორწყალში, საგზაო სახლში ცხოვრობდა ოჯახით), გვერდზე „ლაფატკა“ ედო. ვკითხეთ, რა ხდება, ვინ არიანო?

– ინაური და შადური არიან ხუშპაროვს ირიგებენო? – ჩურჩულითვე გვიპასუხა.

# ჩემი საწუთრო-სამზეო


ქისტები

– ხუშპაროვი? საიდან მოვიდა აქ? – გაგვიკვირდა.

– საიდანა და აი, ამ გზით ჩამოვიდა, რომლითაც ეხლა თქვენ ჩამოხვედით.

ინტერესით დავუწყეთ ცქერა. ქისტებისთვის დამახასიათებელი გემოვნებით, კოხტად ეცვა – ტყავის „კურტკა“, გალიფე, შავი ჩექმები. უკანაფშავს რო დაეცნენ, გაკვირვებულნი იყვნენ უკანაფშაველნი მათი ჩაცმულობით.

ერთ-ერთმა იმათგანმა, ტარიანი პაპიროსი იყო „ყაზბეგი“, ბრტყელკოლოფიანი, ასახდელი, სადიდკაცო, ის გაიტანა და არაგვის მხარეს ლოდზე დააყუდა. ჩანს აინტერესებდათ მის სროლაზე გავრცელებული ლეგენდების შემოწმება. ხუშპაროვი ნიშნისკენ ზურგით დადგა, უცებ გადაბნექილმა ესროლა და კოლოფი არაგვისკენ გაფრინდა. ატეხეს ერთი ხორხოცი. ახლა კონსერვის კოლოფი დადგეს. თავთავისი იარაღიდან ესროლეს, ვერავინ ვერ მოარტყა, ესროლა ხუშპაროვმა და ისიც გადააბზრიალა. ახლა ასანთის კოლოფი შეუსროლეს არაგვის მხარეს. გაიქნია „მაუზერი“ ხუშპაროვმა და ღერები გაიფანტა ჰაერში. ეტყობოდა მაშინ კი დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად იმ ლეგენდარულ ხუშპაროვთან ჰქონდათ საქმე, ვინც შიშის ზარს სცემდა მთას, განსაკუთრებით რუსებს.

ხუშპაროვი მალ-მალე იცქირებოდა ჩვენსკენ.მერე იქ რაღაცა უთხრა და ჩვენთან მოვიდა. ფეხზე წამომდგრებს ხელი ჩამოგვართვა გაღიმებულმა: დიდი მადლობა სტუმართმოყვარეობისათვის – წუხელ მეც თქვენ საბძელში მეძინაო.

ინაური თავისი „ზიმის“ ღია კართან ელოდა, ჩასხდნენ და წავიდნენ.

ეხლა ნახეთ ამ ამბავს, ჩანს, თვით შადურისაგან ნატრაბახალს, რა მწერლური ფანტაზიით „ალამაზებს“ გიორგი სანადირაძე, აქაოდა, ვინ რა იცისო.

ვითომ ვარლამ შადური შემოსარიგებლად სადღაც გადაკარგულ მთაში თითქმის მარტოდმარტო, უიარაღოდ ესტუმრა ხუშპაროვს და იქ ხვდება:

„– ვიდრე რაიმეს გაგვიმზადებენ, მასპინძლის უპირატესობით მინდა ვისარგებლო და შეჯიბრში გამოგიწვიოთ...“

ვარლამი ერთიანად დაიძაბა: „რა ხდება? რა ჩაიფიქრა ხუშპაროვმა?“

ხუშპაროვი განგებ აყოვნებდა. იგი დაჟინებით მისჩერებოდა ვარლამს. ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა: თავის საპატიო სტუმარს მიზანში სროლას სთავაზობდა. გადაზომა ოცდახუთი მეტრი კლდის გამონაშვერზე პაპიროსის კოლოფი „ყაზბეგი“ მოათავსა. პირობა – სამი სროლით ან მხედარს უნდა მოარტყა ტყვია, ან ცხენს.

– ბატონო შადურო, წესისამებრ, პირველი სროლის უფლება სტუმარს ეძლევა, – თქვა ხუშპაროვმა და თავისი პისტოლეტი გაუწოდა. ვარლამს მაშინვე ენიშნა, – მღელვარებისაგან როგორ უთრთოდა ხელი მასპინძელს. წამი, მხოლოდ წამი დასჭირდა, რათა მისი ფარული ჩანაფიქრი ამოეხსნა: როგორ მოიქცევა უიარაღო ჩეკისტი, როცა მის ხელთ პისტოლეტი აღმოჩნდება.

ვარლამმა გულგრილად ჩამოართვა პისტოლეტი, ნაკვთიც კი არ შერხეულა მის სახეზე, თქვა:

– ვაზნების მჭიდი ხომ არ დაგავიწყდათ?

– გთხოვთ! – წელში გაიმართა ხუშპაროვი, – მიზანი გელით.

ვარლამმა პისტოლეტი აღმართა. გაისმა სროლის ხმა. ხუშპაროვი კლდეზე მოთავსებული კოლოფისაკენ გარბის.

– ბრწყინვალეა! – უჩვენებს ზეაღმართული ცერით. მეორე გასროლა! ხუშპაროვი კოლოფს მოარბენინებს. დაიცხრილა მხედარიცა და ცხენიც. ვარლამი პისტოლეტს უბრუნებს ახმადს. მესამე სროლა საჭირო აღარაა. დაე, მასპინძელმა (გადმოცემით მასპინძელი ზეაგდებულ შაურიანს ხვრეტდა თურმე!) სცადოს ბედი.

იგივე სამიზნე. ხუშპაროვმა აღმართა პისტოლეტი. გაისმა სროლის ხმა. ყაჩაღს სახე დაებრიცა – ტყვიამ კოლოფის კიდე დააზიანა მხოლოდ. ნერვიულმა დაძაბულობამ კვინიხს მიაღწია – ზედიზედ იცლება ვაზნები... ამაოდ! უპირატესობა მიღწეულია!“

ამის შემდეგ თურმე აღარაფერი რჩება იმის მეტი, რომ აგერ ცოტაზე გამაცილეო და ასე ცოტცოტაობით ორწყლამდე ჩამოიტყუა ხუშპაროვი.

და აი, ასეთი უსირცხვილო სიყალბით სავსე წიგნის მეორე გამოცემის ანოტაციაში ვკითხულობთ (კითხულობს აბუჩად აგდებული მკითხველი): „(წიგნი) დიდ პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა შორის. დაძაბული სიუჟეტური ქარგა, მკაცრი, შეულამაზებელი დოკუმენტურობა კიდევ უფრო ხაზგასმულს ხდის მათ ღირსებას“.

**ბიბი ხორნაული.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 53-55.

ინფორმაცია

### ახლა დესტაბილიზაციის მცდელობაში გვადანაშაულებენ

ახალგორის სეპარატისტული რეჟიმი ქართულ მხარეს რეგიონში დესტაბილიზაციის დაწყების მცდელობაში ადანაშაულებს.

ამის შესახებ ახალგორის სეპარატისტული რეჟიმის ხელმძღვანელმა ალან ჯუსოევმა სააგენტო „რესი“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ახალგორის რაიონში საშუალო სკოლის დანგრევის საპროტესტო განცხადების კომენტირებისას განაცხადა. ჯუსოევის მტკიცებით, ქართული მხარის მიერ გავრცელებული განცხადება, რომ ახალგორში მე-3 საშუალო სკოლა რუსული ბაზის ასაშენებლად დაანგრიეს, სიცრუეა და ის რეგიონში დესტაბილიზაციის გამოწვევას ემსახურება.

— შენობა, რომელზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, ჯერ კიდევ 2008 წლის ომამდე იყო მიტოვებული. ეს იყო ნახევრად დანგრეული ყოფილი რუსული სკოლა, სადაც რუსეთის ფედერაციასთან შეთანხმების შემდეგ გეგმიური სამუშაოები მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში ამ ადგილას სამხედრო ქალაქი გაშენდება, — აღნიშნა ჯუსოევმა.

### ოკუპანტები ორი აეროდრომის გახსნას აპირებენ

ახალგორის და ჯავის ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი აეროდრომების აშენებას გეგმავს. ამის შესახებ სააგენტო „ოსინფორმი“ იუწყება.

მათი ინფორმაციით, აღნიშნულ რაიონებში აეროდრომის აშენებაზე ტენდერი რუსეთის ფედერაციის „პროგრამების და პროექტების რეალიზაციის სამხრეთ დირექციამ“ უკვე გამოაცხადა. ასევე ტენდერია გამოცხადებული ოკუპირებულ რეგიონში ედისის წყალსადენის და ახალგორის სახანძრო-სამაშველო ნაწილის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზეც.

ჯი-ეიჩ-ენი



**ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ დიმიტრი შაშკინს**

***ბატონო დიმიტრი!***

***არქიტექტორებმა ორჯერ (8 თებერვალი და 4 მარტი, 2010 წ.) მივმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და საქართველოს არქიტექტორთა კავშირს წერილით — ვითხოვდით შეხვედრას, დიალოგს, აზრთა გაზიარებას სკოლების პროექტების ტენდერების ორგანიზაციულ და შეფასების კრიტერიუმების საკითხებზე. წერილების ასლები ცნობისათვის გადაეგზავნა თქვენს მოადგილეს, ბატონ გ. ჩახნაშვილს. არც სააგენტოსგან და არც ბ-ნ გ. ჩახნაშვილისგან წერილებზე პასუხი არ მიგვიღია. იძულებული შევიქენით სამინისტროს წარმომადგენლების გარეშე შევკრებილიყავით საქართველოს არქიტექტორთა კავშირში და გვემსჯელა ზემოთ ხსენებულ საკითხებზე. ჩვენს წერილებში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ არ ვითხოვთ სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რევიზიას. ბოლო ორი ტენდერის შეფასება სააგენტომ უსაშველად გაწელა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ „სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე შემსყიდველმა მიიღო გადაწყვეტილება სატენდერო პროცედურის შეწყვეტის შესახებ“. ამ გადაწყვეტილებამ მაკულატურად აქცია 17 საავტორო ჯგუფის მიერ შექმნილი 9 სკოლის 38 პროექტი. ამას ბიზნესის ჟარგონით პარტნიორის „გადაგდება“ ჰქვია, რაც არც თუ კარგ საქციელად ითვლება.***

# „გადაგდება“ შაშკინისეულად

## არქიტექტორთა ბედი დღევანდელ საქართველოში

როგორ არა გავს ეს დასასრული დასაწყისს — კერძოდ, სამინისტროს მიერ 2007 წელს ჩატარდა ღია კონკურსი, სადაც წარმოდგენილი იყო 11 სკოლის 118 პროექტი, მათ შორის ზოგიერთ სკოლაზე 15-20 პროექტი. კონკურსის დიდი წარმატება განაპირობა მისმა უზადო ორგანიზაციამ და სამინისტროს სწორმა პოზიციამ, — ეს იყო პირველი კონკურსი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც არქიტექტორებს დაუკვეთეს სილამაზე. მაშინ, დიდი არქიტექტურული ზეიმი შედგა, მან ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. იმ სკოლებიდან ზოგიერთი უკვე აშენებულია, ნაწილიც მშენებლობის პროცესშია. სკოლების პროექტირების მეორე ტალღა დაიწყო გასულ წელს, მართალია არა კონკურსებით, არამედ ტენდერების სერიით, რაც თავისთავად დიდი კომპრომისია (შემოქმედებითი, მატერიალური); მიუხედავად ამისა, სამინისტრომ კვლავაც მიიღო არქიტექტორთა აქტიური მხარდაჭერა — პირველ ტენდერზე 9 სკოლის 43 პროექტი იყო წარმოდგენილი, თუმცა შემდგომ აღინიშნა ტენდერებისადმი გარკვეული იმედგაცრუება და არქიტექტორთა ინტერესის დაქვეითება, რაც გამოწვეულია თავად ტენდერის ბუნებით, მისი შემოქმედებით საქმიანობასთან შეუთავსებლობით, ასევე ორგანიზაციული უზუსტობებითა და შეფასების მეთოდის არაადეკვატურობით. საგამოფენო ცენტრ „მუზაში“ მოეწყო გამოფენა, შთამბეჭდავი იყო საზეიმო გახსნა, მინისტრისა და დეპუტატების მონაწილეობა, სკოლების დელეგაციების — დირექტორების, მასწავლებლების გასხივოსნებული, აღტაცებული სახეები, იმედი იმისა, რომ ორ წელიწადში მათი გაპარტახებული, არამდგრადი, ჰიგიენურად უვარგისი სკოლები შეიცვლებოდა თანამედროვე შენობებით, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე თვეში ყველაფერი ასე სავალალოდ დამთავრდებოდა.

ბოლო ორ ტენდერს სკანდალური შეიძლება ეწოდოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 17 საავტორო ჯგუფის 9 სკოლის 38 პროექტი სატენდერო კომისიის შეფასების გარეშე **„სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე“** შემსყიდველმა (ე. ი. სამინისტრომ) მიიღო გადაწყვეტილება სატენდერო პროცედურის შეწყვეტაზე“.

ელემენტარული ეთიკა ითხოვდა საკითხის პარტნიორულ გადაწყვეტას და არა ტლანქ ადმინისტრირებას. ნუთუ მთელ სამინისტროში არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიმღებს ეტყოდა, რომ არქიტექტურული ტენდერი განსხვავდება საყოფაცხოვრებო ნივთის შესყიდვის ტენდერისაგან, რომ ყოველ პროექტში სპეციალისტთა ჯგუფის დიდი შრომაა ჩადებული, რომ არქიტექტორებმა მთელი ზაფხული თბილისის პაპანაქებაში გაატარეს ტენდერის, ანუ საქართველოში სასკოლო მშენებლობის წარმატებისათვის, რომ პროფესიონალების აბუჩად აგდება უზნეობაა და რაც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ გადაწყვეტილება „სახელმწიფოს ინტერესების“ გამო იქნა მიღებული, ეს ერთნიშნად ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული ქმედებაა, დიდი სახელმწიფოებრივი საქმის — სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების შეფერხება და ავტორთა უფლებების და ღირსების უხეში და უცერემონიო დარღვევაა. ფრაზამ **„სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე“ — ღრმა კომუნისტურ წარსულში, ბრეჟნევის ეპოქაში დაგვაბრუნა, როდესაც ყველანაირ უმსგავსობას და უკანონობას ამ ფრაზით ამართლებდნენ. ხომ სჯობდა გვეთქვა სიმართლე, — ფინანსური სიძნელეების გამო სატენდერო პროცედურა შევწყვიტეთ, ან ახალი მინისტრი მოვიდა და...**

ტენდერის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ სამინისტროს ქმედება, შესაძლოა იურიდიულად დასჯადი არ იყოს, მაგრამ „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე“ და მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით, მოუხეშავი, არა გონივრული, არა კორექტული გადაწყვეტილებაა.

გამოდის, რომ სამინისტრომ, მისმა **„ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“, ხელი დაიბანა ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციიდან — სასკოლო მშენებლობიდან** (ალბათ მიმდინარე რემონტებს უკეთ მიხედავენ) **— გადააბარა რა ეს საქმე ადგილობრივ მმართველობებს** (ასე ამბობენ). როგორ, რა პროფესიული და შემოქმედებითი პოტენციალით უნდა მოაგვარონ გამგეობებმა სკოლების პროექტირების და მშენებლობის ურთულესი საქმე. დაპროექტება, რეცენზირება, მშენებლობის ხარისხის უზრუნველყოფა, ავეჯითა და ტექნოლოგიური მოწყობილობებით კომპლექტაცია და სხვა. სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტენდერში, ერთ სკოლაზე სულ მცირე 4-6 პროექტი იყო წარმოდგენილი, ხოლო 2007 წლის კონკურსზე 15-20-იც კი!, და მათგან ხდებოდა არჩევა. ამ გადაწყვეტილებით სამინისტრომ გზა გაუხსნა კუსტარულობას, ჩალიჩს და ალებ-მიცემობას.

სკოლის არქიტექტურას, მის ფსიქო-ემოციურ ხარისხს, მოზარდის ესთეტიკური, მსოფლმხედველობითი და სულიერი სამყაროს ფორმირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არქიტექტურული გარემო აყალიბებს მის ქცევას არა მხოლოდ სკოლის კედლებში, არამედ საერთოდ, მთელი ცხოვრების მანძილზე, არქიტექტურა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოზარდის მოქალაქეობრივი მრწამსის და ჰუმანური იდეალების ფორმირებაში. ასეთი არქიტექტურის შექმნას არქიტექტორის ნიჭზე მეტად სჭირდება დამკვეთის ნიჭი და გონიერება, რომლის დეფიციტი იგრძნობა დღევანდელ საქართველოში.

**თქვენ ახალი მინისტრი ბრძანდებით და ჯერ ვერ ჩაწვდით რა გაუსაძლის, არაადამიანურ, დამთრგუნველ და სიცოცხლისთვის საშიშ პირობებშია ეს სკოლები, რამდენიმე მათგანისთვის თვალის შევლება რომ მოგესწროთ ამ გადაწყვეტილებას არ (ვერ) მიიღებდით.**

ბატონო მინისტრო, თქვენ საქართველოს მთავრობის წევრი ბრძანდებით და, ბუნებრივია, პასუხისმგებელი საზოგადოებრივი აზრის ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობილებაზეც, თქვენმა გადაწყვეტილებამ ათასობით მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს დაუკარგა იმედი პირობების გაუმჯობესებაზე, დაუკარგა რწმენა ხელისუფლებისადმი, არც არქიტექტურული საზოგადოება დარჩა დიდად კმაყოფილი. ეს ამ წერილიდანაც კარგად ჩანს.

**მიგვაჩნია, რომ საჭიროა ბოლო ორი ტენდერის შეფასება, მუშა პროექტების დამუშავება და დაცდა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებამდე. ყოვლად დაუშვებელია სასკოლო მშენებლობის დაქსაქსვა — დეცენტრალიზაცია, უფლებამოსილებათა სხვისთვის გადაცემა.**

**პატივისცემით, არქიტექტორები:**

**ვახტანგ დავითაია, გიგა ბათიაშვილი, ლადო ვარდოსანიძე, შოთა ბოსტანაშვილი, თენგიზ გოგოლაშვილი, დათო ჩიქოვანი, ბესარიონ ტატიშვილი, ნოდარ ქვათელაძე, მედეა მელქაძე, ნინო იმნაძე, ელენე კალანდაძე, ვაჟა გელაშვილი, ზაურ შავაძე, ზურაბ მათიაშვილი, ნოდარ ბუზალაძე, ვახტანგ დოგრაშვილი, თამაზ დოგრაშვილი, მერაბ ბოლქვაძე, ომარ ჯაფარიძე, ნოდარ ირემაშვილი, ვასილ მაისურაძე, ჯემალ ხეჩუაშვილი, გოგი გაბიდაური, ვლადიმერ სიმონია.**

*P. S. თებერვლის დასაწყისში გამოცხადდა „თანამედროვე სკოლის მოდელის ესკიზური პროექტის“ კონკურსი. მიზანი: „შეირჩეს თანამედროვე სასწავლო სივრცეების კონცეპტუალური პროექტები“ — დასახელებაც და მიზანიც არაკონკრეტულია — რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დარღვეულია კონკურსის სხვა პირობებიც. არსებობს არქიტექტურული კონკურსების ჩატარების საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირის მიერ დადგენილი წესი. საკონკურსო პირობები, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს დამკვეთისა და შემსრულებლის უფლებებსა და მოვალეობებს. გაუგებარია, როგორ უნდა გაითვალისწინოს კონკურსანტმა „საქართველოს ბუნებრივი პირობების რელიეფურობის და რეგიონალური თავისებურება“ (სტილი დაცულია) თუ კი არ არის წარმოდგენილი კონკრეტული რელიეფი, გარემო, რეგიონი, ან რის საფუძველზე უნდა დაადგინო კ-1, კ-2, კ-3 კოეფიციენტები. საკონკურსო პირობების უხეში დარღვევაა ჟიურის გამოუცხადებლობა; ბევრი არქიტექტორი საკონკურსო პირობების გაცნობას ჟიურიდან იწყებს — ეს ჩვენთვის უაღრესად პრინციპულია. და ბოლოს, შეუსაბამოა კონკურსის ვადები და პრემიები. ცინიზმია, როდესაც პირველი პრემია ნაკლებია თქვენი სამინისტროს საშუალო რგოლის ჩინოვნიკის ერთი თვის ხელფასზე.*

*სამწუხაროა ისიც, რომ ასეთი გაუმართავი კონკურსის ორგანიზატორთა შორის მოხსენიებულია საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.*

იხ. 7 გვ.

# ცინიზმი

## ნაჩქარევი და არასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება

### არქიტექტორთა საგანგებო შეკრების მონაწილეთა თვალსაზრისი:

**გიგა ბათიაშვილი:** ამ შეხვედრაზე რომ მოვდიოდი, ჩემმა სტუდენტებმა მითხრეს, „თანამედროვე სკოლის მოდელის“ კონკურსში გვინდა მონაწილეობის მიღებაო, მკითხეს განათლების სამინისტრო ჩვენც იგივეს ხომ არ გაგვიკეთებს, რაც გაუკეთა ტენდერის მონაწილეებსო. სამინისტროს გადაწყვეტილება გაუმართლებელია, როგორც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე ავტორებთან მიმართებაში. ამ ფაქტის შედეგები მხოლოდ ამ აქტით არ მთავრდება, მას ბევრი უარყოფითი თანმდევი ასპექტი გააჩნია. სტუდენტების შეკითხვაც ამაზე მეტყველებს. ფაქტობრივად, სამინისტრო არასაიმედო პარტნიორი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება არქიტექტორების მიმართ ვლინდება მთლიანად ხელისუფლების მხრიდან. რაც შეეხება პროექტების შეფასების წესს, არქიტექტურა არის ესთეტიკა, ფილოსოფია, იდეოლოგია და მისი შეფასება ციფრებითა და პროცენტებით — **ნონსენსია**. საბჭოთა პერიოდში იყო ხელოვნების შეფასება სიგრძით, სიმაღლით, წონით. ბარელიეფებს აფასებდნენ ზომებით და სიღრმის მიხედვით, არ ჰქონდა მნიშვნელობა იყო ის ელინური პერიოდის თუ უბრალო „ხალტურა“,

ნუ გავიმეორებთ ძველ ცუდს!

**ლადო ვარდოსანიძე:** არქიტექტურული ტენდერი დიდი გაუგებრობაა. არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესი მთელ მსოფლიოში ორ ეტაპად მიმდინარეობს — კონკურსი პროექტზე და ტენდერი მშენებლობაზე. სხვანაირად კონფლიქტი გარდაუვალია. კანონი შესყიდვების შესახებ ძირითადად იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, ნაკლებად შემსრულებლისას. ეს სამინისტროს მიერ ტენდერის შეწყვეტის ფაქტმაც დაადასტურა. იციან სამინისტროში, რომ შემსრულებელი დაზარალდა მორალურად, მატერიალურად, მაგრამ ამისთვის არავინ დასჯის.

ახლახან სააგენტომ ახალი კონკურსი გამოაცხადა — „თანამედროვე სკოლის მოდელზე“ (მიზანი გაუგებარია). ვესწრებოდი იმ თათბირს, სადაც კონკურსის პირობები განიხილებოდა, გვქონდა არსებითი ხასიათის შენიშვნები, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული. ამიტომ არქიტექტორთა კავშირი უნდა გაემიჯნოს ამ კონკურსს. არქიტექტორთა კავშირს არა აქვს უფლება გაუმართავი კონკურსის ორგანიზატორთა შორის იყოს.

**პავლე ძინძიბაძე:** მე ერთ არშემდგარ ტენდერში მივიღე მონაწილეობა და დავზარალდი, დღემდე ველოდები მის თავიდან გამოცხადებას. ახლა საუბარია იმაზე, რომ მსგავსი რამ მომავალში არ უნდა განმეორდეს. ტენდერი ხელოვნებაში მიუღებელია. შინაგანი პროტესტის მიუხედავად, იძულებული ვართ მივიღოთ მონაწილეობა ტენდერში, რადგანაც დაკვეთის სიმცირეა, ეს დროის ტრაგედიაა. ახლახან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ორ სკოლაზე გამოაცხადა კონცეპტუალური კონკურსი, პირობებში წერია, თქვენ თვითონ შეარჩიეთ ტერიტორიაო, ქიური არ არის გამოცხადებული, პრემიები იმდენად შეუსაბამოა, რომ არქიტექტორის აბუჩად აგდებაა!

**შოთა ბოსტანაშვილი:** არქიტექტურა ჩვენთან კარგა ხანია გაძევებულია ხელოვნების, კულტურის სფეროდან და მიკუთვნებულია მომსახურებას — „სერვისს“. ისეთი მცნებები, როგორიცაა კომპოზიცია, პროპორცია, მეტრი, რიტმი, აქცენტი, მასშტაბი, კონტექსტი უკვე ტექსტებშიც კი არ გვხდება. ბატონ ვახტანგ დავითაიას მოხსენება, თავად ტექსტი, ადეკვატურია დღევანდელი ჩვენი არქიტექტურის მდგომარეობისა. არქიტექტურას ღირებულებათა საკუთარი კრიტერიუმები აქვს. ეს ტექსტი ჩემთვის ლიტერატურული ფაქტია და ამიტომ ამ კრიტერიუმებს არაფერი აქვთ საერთო არითმეტიკასთან, პროცენტებთან, მიმაჩნია, რომ სამინისტროს ქმედება ტენდერის შეწყვეტაზე ნაჩქარევი და არასახელმწიფოებრივი ქმედებაა, რომ არაფერი ვთქვათ ავტორების ღირსების შელახვაზე.

**თამაზ დოგრაშვილი:** ტენდერებმა, რომელიც თავისი არსით შეუსაბამოა ხელოვნებასთან, შემოქმედებასთან, გამოავლინეს მთელი რიგი ხარვეზები, რომელთა გამოსწორება შესაძლებელი იყო. ამ საკითხებზე გვინდოდა აზრის გაზიარება სამინისტროს თანამშრომლებთან, მაგრამ მათ ეს არ ისურვეს — დრო გაწელეს, როგორც ჩანს, სატენდერო პროცედურის შეწყვეტა ადრე იყო დაგეგმილი. ჟიურიში გამოეკიდა 40-მდე პროექტი. თანაც გვარწმუნებენ, ეს გაკეთდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეო, ეს ნამდვილი ცინიზმია.

### რედაქციისგან:

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოქმედება ზუსტად პასუხობს ხელისუფლების „გენერალურ ხაზს“ ქართველი არქიტექტორების მიმართ — ისინი საკუთარ ქვეყანაში მეორეხარისხოვნად არიან გამოცხადებულნი, მათ ჩამოართვეს უფლება წარმართონ საკუთარი ქვეყნის არქიტექტურის ბედი. ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი უცხოელთა ხელშია, მათ აქვთ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, [redacted] პროექტების დამტკიცება-შეთანხმების პროცედურას (მთა- [redacted] ვალი მოავლოს თუნდაც მაკეტს). სამაგიეროდ, თბილისის [redacted] ერის (ურბანული დაგე [redacted] ის მორჩილი ახალ- [redacted] ისხოვანს, წვრილმან [redacted] ართულებენ ქარ- [redacted] ების პროექტების და [redacted] ქამდეც კი მივიდა, [redacted], დაუფარავად „სთავა [redacted] — ფასადების ახალ [redacted] ს დამტკიცების გარან [redacted] ნდა, არა უსასყიდ- [redacted] ული ეთიკის, საავტო [redacted] ებში დარღვევა და [redacted] ებს ყველაფერი ეპატ [redacted] რ ბოძებული ქარ- [redacted] ისწორ-მოსწორება, ის [redacted] ის ხელყოფა, უცხო [redacted] ნტონაციების დამკვიდ [redacted] ში. თბილისელებს [redacted] ონთ თუ არა ახალი „ი [redacted] ის“) პირქუში მდუ- [redacted] ინტერიერები, კბილებ [redacted] ლის“ შენობა ვაკეში [redacted]*

*[redacted] თქვენ არა მხოლოდ ა [redacted] არამედ არასახელ- [redacted] ყვეტილება მიიღეთ, გ [redacted] ანონგარეშედ რამ- [redacted] ბილი არქიტექტორის [redacted] არია, კიდევ დიდი [redacted] დებაში საქართველოს [redacted] ლების ამორტიზე- [redacted] ლები. არ გეშინიათ, თუ [redacted] მიწისძვრის? თქვენ [redacted] ვების სიცოცხლეზე?*

*[redacted] რა, რომ ამ პუბლიკაცი [redacted] სკვნებს გააკეთებთ [redacted] ქტორებთან თანამშრო [redacted]*

*მოამზადა*
*[redacted] ქობულიამ.*



**და ისევ გუანტანამო... და ისევ ვნებათაღელვა... საკუთარი პატიმრებისთვის ვერ მოგვივლია და ახლა ანტიტერორისტული ოპერაციების მონაწილეებს ვიხუტებთ გულში. თანაც ჩუმად, მალვით... ისე, რომ ხალხმა ამის შესახებ მხოლოდ აშშ-ს მხრიდან ოფიციალური სამადლობელი ნოტის შემდეგ გაიგო.**



# გიხაროდენ – სამი გუანტანამოელი თბილისშია...

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფილიპ კროულიმ გუანტანამოს ციხის დახურვის მომზადებაში დახმარებისთვის საქართველოს ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა.

გიხაროდენ! — ტერორიზმში ეჭვმიტანილი უცხოელების მიღებას თბილისი პირველად დათანხმდა. გუანტანამოს ციხე 2002 წლის იანვარში გაიხსნა. ეს არის სპეციალური საპყრობილე იმ პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ტერორისტულ აქტებში ან ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობაში ედებათ ბრალი.

**2002-დან 2006 წლამდე გუანტანამოს ციხეში სულ 750-მდე უცხოელი მოხვდა, რომლებიც ავღანეთსა და ერაყში ოპერაციების დროს ამერიკელმა სამხედროებმა დაატყვევეს. მათი მტკიცებით, ყველა დაკავებული „ალ-ქაიდას“ ან „თალიბანის“ მხარეს იბრძოდა.**

„განსაკუთრებულად საშიში დამნაშავეების“ საიდუმლო ციხეებში არსებობის შესახებ აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2006 წლის 6 სექტემბერს აღიარა. გუანტანამოს ბანაკის დახურვის დაპირებამ საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვება გაუნაღდა. 2009 წლის 21 იანვარს, პრეზიდენტობის მეორე დღესვე, ბარაკ ობამამ ერთი წლის განმავლობაში ციხის რეფორმირების ბრძანებას მოაწერა ხელი.

ამბობენ, რომ ამჟამად გუანტანამოს ციხეში სულ 183 პატიმარია დარჩენილი.

3 პატიმარი კი უკვე თბილისშია.

**ექსპერტი ნიკა ჩიტაძე არ გამორიცხავს, რომ გუანტანამოს ციხიდან პატიმრების ჩამოყვანით საქართველო ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნე გახდეს.** ამას შესაძლოა გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვეს ზოგიერთი ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან, — განაცხადა ჩიტაძემ. თუმცა ის, რომ საქართველომ გამოხატა მზადყოფნა მიეღო გუანტანამოს საპატიმროს მსჯავრდებულები, ადასტურებს, რომ საქართველო არის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი შეერთებული შტატებისა და მთლიანად ნატოსი, — განმარტა ჩიტაძემ.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს ლინკოლნ მიტჩელს გუანტანამოს პატიმრების მიღების გადაწყვეტილება სააკაშვილისთვის ერთგვარ შანსად მიაჩნია, **რაღაცით რომ დაამტკიცოს განსაკუთრებული დამოკიდებულება თეთრ სახლთან, რაც უაღრესად აუცილებელია ქვეყნის შიგნით მისი იმიჯის ასამაღლებლად.** თუმცა საქართველოს უშიშროების მესვეურნი ასე არ ფიქრობენ, საქართველო პატიმრების მიღებას თურმე იმის გამო დათანხმდა, რომ აშშ-ს დაეხმაროს და საკუთარი თავი ვაშინგტონის „სტრატეგიულ პარტნიორად“ წარმოაჩინოს.

საქართველო რომ საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის აქტიური წევრია და მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც აშშ-სთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან, რაც გარკვეულ ანგარიშვალდებულებას გულისხმობს, არც ირაკლი ალასანია უარყოფს. „თუმცა ხელისუფლება ვალდებულია, საკუთარ მოქალაქეებს მკაფიოდ განუმარტოს მომხდარის შესახებ, უზრუნველყოს უსაფრთხოების სათანადო ზომები,“ — აცხადებს ალასანია.

**საქართველოს მოსახლეობის საფრთხის წინაშე დაყენების ხარჯზე, სააკაშვილი ცდილობს, აღიდგინოს დამსხვრეული საერთაშორისო რეპუტაცია, გული მოულბოს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასა და მის პრეზიდენტს, რათა რამენაირად მასთან შეხვედრას მიაღწიოს,** ფიქრობენ ლეიბორისტები. „საქართველო მუდამ იყო და იქნება კეთილგანწყობილი, სტუმართმოყვარე ქვეყანა და არ იმსახურებს ჩასახლება — გულაგის სტატუსს.“

ნოლაიდელის მოძრაობის მამა პეტრე მამრაძე ამ „არაადეკვატურ გადაწყვეტილებას“ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ერთპიროვნულად მიღებას უკავშირებს. გარკვეული დაჯგუფებები გუანტანამოს ციხიდან ჩამოყვანილი პატიმრების დივერსიულ აქტებში გამოყენებას შეეცდებიან, რაც ქვეყანაში ტერორიზმის რისკს ზრდის, ამბობს იგი.

**„სააკაშვილი ყველაფერზე მიდის სკამის შესანარჩუნებლად,** არ ადარდებს მოსახლეობის უსაფრთხოება, ქვეყანაში, სადაც დიდი რაოდენობით ტრიალებს არაბული ფული, ცხოვრობენ ებრაელები, ჩამოჰყავს საშიში დამნაშავეები და მათ თავისუფლად ცხოვრების უფლებას აძლევს,“ — აცხადებს შაშიაშვილი.

შაშიაშვილის აზრით, სააკაშვილი ეშმაკს სულს მიჰყიდის. **ერთადერთ გამოსავლად მას ოპოზიციის კონსოლიდაცია და სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხის სასწრაფოდ დაყენება მიაჩნია.**

დამოუკიდებელი დეპუტატის ჯონდი ბაღათურიას აზრით, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების სპეცსამსახურებმაც ვერ უზრუნველყვეს საკუთარი სახელმწიფოსა და მოსახლეობის უსაფრთხოება ამ ტერორისტული ორგანიზაციების წევრებისგან.

ასე არ ფიქრობენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ისინი აშშ-სთან სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ამახვილებენ ყურადღებას და გუანტანამოს ციხიდან პატიმრების ჩამოყვანაში ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავენ.

**ირაკლი სესიაშვილი კი ამ ფაქტის სამართლებრივი საფუძვლების გარკვევას მოითხოვს.** სამართლებრივი მხარის შეფასება საკმაოდ რთულია, რადგან ყოფილ პატიმრებზე თითქმის არაფერი ვიცით, უცნობია, რა კონკრეტული აქტის საფუძველზე გადმოიყვანეს ყოფილი პატიმრები საქართველოში და რა სტატუსი მიენიჭებათ მათ, განაცხადა მან.

საქართველოს ხელისუფლების ამ ნაბიჯმა რუსები და აფხაზებიც ააღელვა.

მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტის ალექსანდრ ხრამჩიხინის აზრით, გუანტანამოს პატიმრების მიღების თანხმობით, სააკაშვილს იმედი აქვს, რომ „აიძულებს ამერიკელებს, გააძლიერონ თავისი სამხედრო არსებობა საქართველოში.“ მაგრამ ექსპერტი არც მეორე ვარიანტს გამორიცხავს — **თბილისი შეიძლება წავიდეს „ალ ყაიდას“ ტერორისტებთან თანამშრომლობაზე და გამოიყენოს ისინი სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში დივერსიების მოსაწყობად.**

„თუ სააკაშვილი საბოლოოდ შეიშალა, ის დაუყოვნებლივ ამას მოიმოქმედებს,“ — ფიქრობს ხრამჩიხინი.

ასე რომ, შიშობენ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, „გუანტანამო-2“-ის მისამართი თბილისია. ჯერჯერობით ბევრი რამ ბურუსითაა მოცული...

**ნატა ნიბლაძე**

### ახალი ფოლკლორი

#### სიმღერა ჟუჟუნა წვიმასა და გუანტანამოზე

**ჩვენ გვინდა, ჩვენი მინდვრები**
**ჟუჟუნა წვიმამ დანამოს.**
**არ გვინდა სხვისი ნაგავი,**
**არ გვინდა გუანტანამო.**
**ვინც ტერორისთვის გვიმეტებს,**
**გული გაუპოს დანამო,**
**ხმა ამოვიღოთ, ვიყვიროთ,**
**არ დავქცეულვართ სანამო,**
**ხალხო, ჩვენს ტურფა მიწა-წყალს**
**ნუ ვაქცევთ გუანტანამოდ.**

**მგელიკა უძილაური,**
**გარისახო.**

ფორუმი

# ენერგეტიკა და პოლიტიკა: ერთი ჯაჭვის ორი რგოლი

## როგორ აისახება ამერიკის კონგრესის მიერ სომხების გენოციდის აღიარება რეგიონის ენერგეტიკულ მომავალზე?

**ნავთობის, გაზის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მე-9 საერთაშორისო კონფერენცია „GIOGIE 2010" სასტუმრო „რადისონ ივერიაში" ორ დღეს მიმდინარეობდა.**

ენერგეტიკოსთა, ეკოლოგთა, ეკონომისტთა და მრავალი სხვა პროფილის სპეციალისტთა სოლიდური ფორუმი, რომლის მუშაობაში 15 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა, საქართველოს ენერგეტიკის, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, ასევე საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, საქართველო-ბრტანეთის სავაჭრო პალატისა და ნავთობისა და გაზის კორპორაციის ძალისხმევით განვითარდა, რომელთაგან სტუმრებს ამ უკანასკნელმა უმასპინძლა.

კონფერენციის გახსნისას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა ყურადღება გაამახვილა მიმდინარე და პერსპექტიულ სამომავლო ენერგეტიკულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაში დაინტერესებული მრავალი ქვეყანა, მათ შორის, ცხადია, საქართველო. მინისტრმა ასევე ილაპარაკა ქვეყნის ენერგეტიკულ პოტენციალსა და ენერგოუსაფრთხოების ზოგიერთ ასპექტზე, დამსწრეთა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო თურქეთ-საქართველოს ახალ ელექტროგადამცემ ხაზზე, რომლის ექსპლუატაცია 2012 წელს დაიწყება. ამ პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ **ხაზის მწყობრში ჩადგომის შემდეგ საქართველოს საშუალება ექნება, თურქეთის გავლით ელექტროენერგია ევროპის ქვეყნებს მიაწოდოს.** გარდა ამისა მინისტრი ასევე შეეხო ენერგეტიკის სფეროში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების და თანამშრომლობის ზოგიერთ მხარეს. მისი თქმით **რუსეთი და საქართველო ამ დარგში პარტნიორები არიან,** თუმცა ამ ურთიერთობათა დასტურად მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ხანმოკლე ომის შემდგომ ქართული მხარის მიერ ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მეტი არგუმენტი არ მოუყვანია. აღნიშნული ვალდებულებები კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო რუსეთს ელექტროენერგიას აწვდის.

ენერგეტიკოსთა თავყრილობის მონაწილეებმა, კერძოდ, როგორც ჩამობრძანებულმა სტუმრებმა, ასევე სამინისტროებისა და მონაწილე ორგანიზაციების მაღალი რანგის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე პროექტებისა და მამჟამად არსებულ ვითარებაზე.

— „GIOGIE 2010" ენერგეტიკული კონფერენცია, უწინარესად, მიმოხილვითი ხასიათისაა და ბოლოდროინდელი, დაზუსტებული ინფორმაციის გაცვლის მხრივ არის გამორჩეული, რასაც ამ სფეროში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ენერგეტიკული პროექტების განხორციელება დიდად არის დამოკიდებული მსოფლიოსა და კონკრეტულ რეგიონებში პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ გამოირჩევა დიდი მდგრადობით, რასაც, ფაქტობრივად, ყოველთვის ნეგატიური შედეგი მოაქვს, — თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში კონფერენციის მონაწილემ დიმიტრი ნამგალაძემ. — კონფერენციის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ისეთი მნიშვნელოვანი ენერგოპროექტების წარმომადგენლები, როგორებიცაა „თეთრი ნაკადი", „ნაბუკო". აღსანიშნავია ისიც, რომ კონფერენციაზე დისკუსია, ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, არ გამართულა. პოლემიკის მსგავსი ხანმოკლე „აფეთქება" პირველ დღეს იყო, თუმცა ამას უფრო პოლიტიკური ელფერი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბოლო დროს ურთიერთობათა სერიოზულმა დაძაბვამ, რაც ამერიკის კონგრესის მიერ თურქეთში სომხების გენოციდის აღიარებამ გამოიწვია, და ამ ფონზე თურქეთის რუსეთთან ეკონომიკურმა დაახლოებამ, შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს გაზსადენ „ნაბუკოს" პროექტის განხორციელების საკითხი, რომელშიც საქართველო სისხლხორცეულადაა დაინტერესებული. ამან კი, შესაძლოა, შავი ზღვის რეგიონში ენერგეტიკულ-ეკონომიკური ვითარება კარდინალურად შეცვალოს.

> **ინფორმაცია თემაში**
>
> ***საშუალო სტატისტიკური ამერიკელი მოიხმარს ორჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე საშუალო სტატისტიკური ევროპელი, შვიდჯერ მეტს, ვიდრე საშუალო სტატისტიკური ჩინელი და ორჯერ მეტს, ვიდრე საშუალო სტატისტიკური ინდოელი.***

რაც შეეხება ენერგეტიკასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პრობლემებს, მონაწილეებმა, ძირითადად, საერთაშორისო ბაზრების საკითხები განიხილეს. კერძოდ, ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, ეყოფა თუ არა თურქმენეთისა და აზერბაიჯანის გაზი „თეთრი ნაკადისა" და „ნაბუკოს" გაზსადენებს, ვინაიდან თურქმენეთი გაზს ასევე ჩინეთსაც აწვდის. სპეციალისტების საერთო აზრით, გაზის სადღეისოდ დაზვერილი მარაგები საამისოდ სავსებით საკმარისია. ასევე განიხილებოდა ამ პროექტების განხორციელების შედეგად ევროპის ბაზარზე ვითარების შეცვლის პერსპექტივები, რაც, უმთავრესად, რუსეთული გაზის ალტერნატიული წყაროს შემოსვლას გულისხმობს.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაუთმეს ასევე ენერგეტიკული მოღვაწეობის გარემოზე ზეგავლენის საკითხების განხილვას. კერძოდ, აქცენტირებული იყო ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ჭარბად გაფრქვევის თავიდან აცილების გზები, რაც განსაკუთრებულად ენერგეტიკული მდგენელის განუხრელი ზრდისა და კოპენჰაგენის ენერგეტიკული სამიტის ფაქტობრივი ფიასკოს ფონზე, განსაკუთრებულად მტკივნეული პრობლემაა, ხოლო ევროპელმა სპეციალისტებმა აღნიშნეს ამ მიმართულებით ევროპის ენერგეტიკული საბჭოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის პარალელურად „რადისონ ივერიაში" მოწყობილი იყო რამდენიმე ნავთობკომპანიის, მათ შორის, „სოკარ ენერჯი ჯორჯიას", „ყაზტრანსოილის", „ბათუმის ნავთობის ტერმინალისა" და სხვათა საგამოფენო სტენდები.

**ოთარ ტურაბელიძე**




№2/585-09

# განჩინება

## საქართველოს სახელით

11 მარტი, 2010 წელი — ქ. ბათუმი

**ბათუმის საქალაქო სასამართლო**

**სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძე**
**სხდომის მდივანი ხათუნა ალიშანიძე**

**მოსარჩელე** — დარეჯან ქუთათელაძე
**მოპასუხე** — ნუგზარ დათიკაშვილი,
შპს „ოდისეი" — დირექტორი ირაკლი ჯაში
**დავის საგანი** — სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების და პირგასამტეხლოს, იპოთეკის საგნის რეალიზაცია.

საქმის განხილვის მოსამზადებელ სხდომაზე განიხილა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე.

**გამოარკვია:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია დარეჯან ქუთათელაძის სარჩელი სესხის მასზე დარიცხული პროცენტებისა და საგნის რეალიზაციის შესახებ.

2009 წლის 30 ივლისის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. როგორც საქმის მომზადებისას გამოირკვა ერთ-ერთ მოპასუხეს — ნუგზარ დათიკაშვილს — ვერ ბარდება შეტყობინება სასამართლოდან, ვინაიდან ის არ იმყოფება სარჩელში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი მცხეთის ქ. №9.

საქმის მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის თაობაზე ასევე მას ეცნობა სასამართლო უწყების გაგზავნით, მაგრამ სასამართლოში წარმოდგენილი შეტყობინებით დადგენილია, რომ სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა აღნიშნულ მისამართზე მისი არყოფნის გამო (შეტყობინება იხ. საქმეშიძ.

2010 წლის 11 მარტს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე დარეჯან ქუთათელაძის წარმომადგენელი შუამდგომლობს, ვინაიდან სხვა ალტერნატიული მისამართი მისთვის უცნობია და დღემდე ის რეგისტრირებულია სწორედ ამ მისამართზე — ნუგზარ დათიკაშვილს სასამართლო სხდომის შესახებ ეცნობოს საჯაროდ — საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ და სხდომის დროისა და ადგილის შესახებ მოპასუხეს აცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით, საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია. საქმის მთავარ სხდომაზე ზეპირი განხილვის დღე მოპასუხეს უნდა ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების მეშვეობით. ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ შეტყობინება უნდა განხორციელდეს იმ გაზეთის მეშვეობით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"ძ.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. განხორციელდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 მარტის №2/585-09 განჩინებით მოპასუხეზე ნუგზარ დათიკაშვილზე — საჯარო შეტყობინების გავრცელებით — უწყების ჩაბარება.
2. სამოქალაქო საქმეზე დარეჯან ქუთათელაძის სარჩელისა გამო ნუგზარ დათიკაშვილისა და შპს „ოდისეის" დირექტორის ირაკლი ჯაშის მიმართ სესხის, მასზე დარიცხული პროცენტების, პირგასამტეხლოსა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2010 წლის 12 აპრილს 12.00 საათზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მესამე სართული, №5 სხდომის დარბაზი; მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის 30ძ.
3. ნუგზარ დათიკაშვილს განემარტოს, რომ თუკი ის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებული არიან გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობონ სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.
4. ნუგზარ დათიკაშვილს განემარტოს, რომ სასამართლო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
5. სასამართლო შეტყობინების გამოქვეყნება განხორციელდეს მოსარჩელე მხარის ხარჯზე.
6. განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე
**ვიოლეტა ფორჩხიძე**

დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

ლიტვინოვს ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის თებერვლის პლენუმზე სიტყვით გამოსვლის ნებაც კი მისცეს, სადაც მან გააკრიტიკა ჰიტლერთან დაახლოების სტალინური პოლიტიკა და მოითხოვა შემობრუნებულიყვნენ პირით ინგლისისა და საფრანგეთისთვის. მაგრამ ასეთი ანტისტალინური გამოხდომის შემდეგაც კი ყოფილი სახალხო კომისრისთვის ხელი არავის უხლია. დიახ, ის უსაქმურად იყო ომიანი შემოდგომის პირველ ნახევრამდე, მაგრამ ამაში დამნაშავე სტალინური ხელმძღვანელობა არ ყოფილა. იგივე შეინისი იტყობინება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახალი შეფის მოლოტოვისა და ლიტვინოვის საუბრის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელის გადაყენების უმალვე გაიმართა. მოლოტოვი მას შეეკითხა – რომელ ახალ თანამდებობაზე აქვს მას პრეტენზია და მიიღო პასუხი: „თქვენს თანამდებობაზე!“ საერთოდ ლიტვინოვი მეტად პრობლემური კაცი იყო პიროვნულ ურთიერთობათა თვალსაზრისით, რაზეც საუბრობენ მისი კეთილმოსურნენიც კი. ამერიკელი ისტორიკოსი ჯ.ხასლემი გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ უყვიროდა ლიტვინოვი ტელეფონით მოლოტოვს: „ტუტუცო!“ ერთ ხანს მოსკოვში გერმანიის ელჩად მყოფი გ.ფონდიკსენი ამბობდა, რომ ლიტვინოვს „არ უყვარს თავის მახლობლად რომელიმე ღმერთი“.

ომის პერიოდში „პაპაშამ“ ბევრი რამ გააკეთა ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცებისთვის. მაშინ ის არაერთგზის აღნიშნავდა თავისი ომამდელი პოზიციის „სიმართლეს“, უგულებელყოფდა ისტორიულ მოვლენათა ცვლას. ცნობილი საბჭოთა დიპლომატი ა.ა.გრომიკო იხსენებდა იმ დროის შესახებ: „გაოცებული დავრჩი იმ სიჯიუტით, როგორითაც ლიტვინოვი ცდილობდა ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციის გამოსარჩლებას. მიუხედავად იმისა, რომ ლიტვინოვი გაათავისუფლეს სახალხო კომისრის პოსტიდან მისი მცდარი პოზიციის გამო, ის რატომღაც ხაზგასმით აგრძელებდა თავისი შეხედულებების დემონსტრირებას მოლოტოვის წინაშე“.

დასავლეთზე თავის ორიენტაციას ლიტვინოვი ინარჩუნებდა ომის დამთავრების შემდეგაც, სსრ კავშირსა და ინგლის-ამერიკას შორის ურთიერთობის გაცივების პერიოდში. სი-ბი-ეს-ის კორესპონდენტთან შეხვედრაზე 1946 წლის 18 ივნისს მას შეეკითხნენ: „რა მოხდება, თუ დასავლეთი დათმობაზე წავა მოსკოვთან? ძველი ბოლშევიკის პასუხი ასეთი იყო: „ეს მიგვიყვანს იმასთან, რომ გარკვეული დროის შემდეგ დასავლეთი აღმოჩნდება მოთხოვნათა შემდგომი სერიების წინაშე“. 1947 წლის 23 თებერვალს კი „სანდი ტაიმსის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ლიტვინოვმა „ცივი ომისთვის“ პასუხისმგებლობა სტალინსა და მოლოტოვს დააკისრა. იგი, სსრ კავშირზე მითითებით, ბრიტანელ დიპლომატ ფ.რობერტს ურჩევდა: „თქვენ მხოლოდ ჭირვეულის მორჯულება მოგიწევთ“.

ასეთი საუბრების წარმოების ფაქტს თავის მოგონებებში ადასტურებს მიქოიანიც. სპეციალური სამსახურები აქტიურად „იწერდნენ“ ლიტვინოვს და ჩანაწერები ხვდებოდა სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების მაგიდებზე. მაგრამ სტალინს არც მაშინ უხლია ხელი მოხუცი ფრონდერისთვის, ვინაიდან თავს საკმაოდ ძლიერად მიიჩნევდა, რომ არ მიემართა რეპრესიებისთვის ამ შემთხვევაში. „პაპაშამ“ დაასრულა თავისი სიცოცხლე მაქსიმალური კომფორტის პირობებში. და, ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც უნდა ვისაუბროთ ბელადის არა სისხლის მსმელობაზე, არამედ პირიქით, მის ლიბერალიზმზე.

### სტალინის „მედასავლურობის“ ელემენტები

როგორც ვხედავთ, სტალინი საკმაოდ ითმენდა ლიტვინოვის შეხედულებებს, მეტად რთული და თავნება პიროვნებისა. ის იყენებდა მის დიპლომატის ნიჭს, როდესაც ეს ქვეყნის სიკეთეს სჭირდებოდა და მშვიდად გადააყენა ლიტვინოვი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტიდან, როდესაც არ ეთანხმებოდა მას მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში. სტალინს ამაოდ წარმოგვიდგენენ საერთოდ სუპერიზოლაციონისტად, ყოველივე დასავლურის, ევროპულისა და ამერიკულის მოძულედ. ზოგჯერ ისიც ავლენდა გარკვეულ მედასავლურობას. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სტალინის „პროამერიკული“ გამონათქვამები, როდესაც გულწრფელ აღტაცებას გამოხატავდა ხოლმე შტატების მიერ ფეხის გამოჩენის საქმეში. „ჩვენ, – გვარწმუნებდა სტალინი, – პატივს ვცემთ ამერიკულ საქმიანობას ყველაფერში – მრეწველობაში, ტექნიკაში, ლიტერატურაში, ცხოვრებაში... ამერიკელებს შორის ბევრი ჯანსაღი ადამიანია სულიერი და ფიზიკური თვალსაზრისით, ჯანსაღი ყოველგვარი თავისი მიდგომით სამუშაოსადმი, საქმისადმი“. და ან კიდევ: „ამერიკული საქმიანობა ეს ის დაუოკებელი ძალაა, რომელიც თავისი საქმიანი შეუპოვრობით ლეკავს ყველა და ყველანაირ წინააღმდეგობას და რომელსაც არ შეუძლია არ მიიყვანოს ბოლომდე დაწყებული საქმე, თუნდაც ეს საქმე პატარა იყოს, და ურომლისოდაც წარმოუდგენელია სერიოზული სამშენებლო საქმე“.

სტალინის პიროვნების უდიდესმა მკვლევარმა ი.ვ.ემელიანოვმა ასეთი დაკვირვება გააკეთა: „უპირატესობა, რასაც სტალინი მუშაობის ორგანიზაციის მეთოდებს ანიჭებდა, ისე აშკარად გამოვლინდა საქმიანი აქტივობის მის სტილში, რომ ამერიკელმა ისტორიკოსმა ალექს დე კონგმა იოლად ამოიცნო მის ქცევებში სამამულო მენეჯერების მისთვის ცნობილი ხერხები. სახალხო კომისარ ანცელოვიჩთან საუბარში, რომელსაც ჩადაევი იხსენებს, სტალინს საუბრიდან ერთი მეორის მიყოლებით გამოჰყავდა აფორისტული ფორმულირებები, თითქოს ისინი ამოღებული ყოფილიყვნენ ამერიკელი ბიზნესმენების სახელმძღვანელოებიდან: „ვისაც არ შეუძლია მცირეს გაუფრთხილდეს, ის დიდსაც ჰკარგავს... დაკარგავ დროს – ველარ დაიბრუნებ, როგორც დაღვრილ წყალს ველარ შეაგროვებ... პატიოსანი უარი გაჭიანურებაზე უარესია...“ („**სტალინი**. გზა ხელისუფლებისკენ“ძ.




როდესაც ინდუსტრიალიზაციას ახორციელებდა, სტალინი არავითარ ემთხვევაში არ გამოდიოდა როგორც სრული ავტარკიის, საკუთარ ძალებზე დაყრდნობის მომხრე. მან აქტიურად აამოქმედა დასავლური კაპიტალი, ურომლისოდაც ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევქმნიდით საკუთარ ინდუსტრიას. ესე იგი, ეჭვგარეშეა აქ უზარმაზარი როლი შეასრულა რესურსების ზემობილიზაციამაც, სოფელზე ზემოქმედებამაც, ასეული ათასობით და მილიონობით ხალხის შრომითმა ენთუზიაზმმაც. მაგრამ დასავლეთის დახმარების გარეშე გასული საუკუნის 30-იანი წლების მოდერნიზებული ნახტომი შეუძლებელი იქნებოდა. ინდუსტრიალიზაციაში დიდმნიშვნელოვან როლს წყვეტდნენ დასავლეთის უახლესი მოწყობილობის, თანამედროვე ტექნოლოგიების მოწოდება, უცხოელი სპეციალისტების დახმარება, აგრეთვე საზღვარგარეთული ფირმების მიერ საბჭოთა პროექტების შესრულება. სამამულო ინდუსტრიის გიგანტები ვერასოდეს ჩადგებოდნენ მწყობრში საბჭოთა კავშირში არარსებული ტექნოლოგიების მიწოდების გარეშე: მაგნიტმშენი – ალმასური ბურღვის ტექნიკის, ავტომშენი – კონვეიერული წარმოების, დნეპრჰესი – ძლიერი ტურბოგენერატორების გარეშე და ა.შ. უცხოეთის ფირმებმა ასობით ხელშეკრულება გააფორმეს საბჭოთა მხარესთან. დასავლეთი ჰყიდდა საბჭოთა მხარეს პატენტებსა და ლიცენზიებს, აგზავნიდა სპეციალისტებს, ღებულობდა თავისთან სტაჟიორებს სსრ კავშირიდან. მეტად სოლიდური იყო დასავლელი „სპეცების“ წვლილი ინდუსტრიალიზაციაში. 1933 წელს მათი რიცხვი 6550 კაცს შეადგენდა – მხოლოდ მძიმე მრეწველობაში. უცხოელი სპეციალისტების საერთო რიცხვი მაშინ 20 ათასამდე კაცს შეადგენდა.

1944 წელს, როდესაც წამოიჭრა საკითხი ამკრიკელ ავტომაგნატ ჰენრი ფორდზე, სტალინმა წამოიძახა:„ღმერთმა გაუმარჯოს!“ რატომაც არა – სახელგანთქმული ქარხანა აზლკ (30-იან წლებში – კიმძ ფორდის ასაკრეფი ქარხნის ზუსტი ასლი იყო! სხვათა შორის, ფორდი თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან მისი არსებობის პირველივე წლებიდან. 1919 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებდა ემბარგო რუსეთში ავტომობილების მიწოდებაზე, ის საბჭოებს მიჰყიდდა თავის სახელგანთქმულ ტრაქტორებს – „ფორძონებს“. ოპერაციის შუამავლებად გამოდიოდნენ ამერიკელი ბიზნესმენები – დ.ჰამერი (სახელგანთქმული არმანდის მამაძ და ა.გელერი. აღსანიშნავია, რომ თავად ფორდი უდიდესი ანტისემიტი და ანტიკომუნისტი იყო. 1938 წელს ჰიტლერმა ის გერმანიის არწივის ორდენით დააჯილდოვა, თითქმის ბენიტო მუსოლინისთან ერთდროულად .

რასაკვირველია, დახმარება დასავლეთიდან უანგარო როდი ყოფილა, მისთვის უნდა გადაგეხადა მყარი ვალუტა, რომელიც მიღებული იყო საზღვარგარეთ გლეხებისთვის ჩამორთმეული პურის გაყიდვის ფასად. მიუხედავად ამისა სახელმწიფო ინტერესების დაცვა „დასავლელებთან“ ურთიერთდამოკიდებულებაში ხდებოდა ხელშეუხებლად. საბჭოთა საწარმოების ფლობაში უცხოური კაპიტალი არანაირ მონაწილეობას არ ღებულობდა და მას მკაცრად უნდა შეესრულებინა ჩვენი საკმაოდ მძიმე პირობები – წარმოედგინა დაწვრილებითი ტექნიკური დახასიათებანი, გამოეყენებინა საბჭოთა სტანდარტები და ა.შ.

საინტერესოა, რომ ომის შემდეგ დასავლელის გარკვეულ ხასიათს ავლენდა მოლოტოვი, რომელსაც პირმოთნეობას ვერაფრით დააბრალებ. 1945 წლის შემოდგომაზე, როდესაც სტალინი შვებულებაში იყო (შვებულება ორი თვე გაგრძელდაძ და ინსულტს მკურნალობდა, „მისტერ არამ“, რომელიც, ფაქტობრივად, ასრულებდა ქვეყნის ხელმძღვანელის მოვალეობებს, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა დასავლეთის ქვეყნების შესახვედრად. მაგალითად, მან ნება დართო, მთლიანად გამოექვეყნებინათ უ.ჩერჩილის სიტყვა და მიუხედავად იმისა, რომ მასში ბევრი კომპლიმენტი იყო სტალინის მისამართით, თავად ბელადმა პუბლიკაცია ძედის მოხრად და დასავლეთის აზრისადმი დამორჩილების გამოვლინებად მიიჩნია.

მან კიდევ უფრო მკვეთრი რეაგირება მოახდინა იმაზე, რომ მოლოტოვმა დასავლელ კორესპონდენტებს ნება მისცა, მოეხსნათ ნებისმიერი საცენზურო შეზღუდვები მოსკოვიდან გაგზავნილ მასალებზე. ამის შემდეგ დასავლეთის პრესამ უმალვე გამოაცხადა მოლოტოვი ბელადის მემკვიდრედ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თვითნებობამ ძალიან გაალიზიანა სტალინი. ბელადის რისხვა გამოიწვია იმან, რომ მოლოტოვმა, პოტსდამის ხელშეკრულებათა გვერდის ავლით, ნება მისცა საფრანგეთსა და ჩინეთს, მონაწილეობა მიეღოთ ომისშემდგომი სამშვიდობო ხელშეკრულებების განხილვაში. ასეთი იყო დასავლელი მოკავშირეების მოთხოვნა და მოლოტოვი მას, ფაქტობრივად, დამორჩილდა.

ახლა ურთიერთობა ძველ მეგობრებს შორის უიმედოდ გაფუჭდა. „მე დავრწმუნდი, – წერდა სტალინი პოლიტბიუროს, – რომ მოლოტოვი ძალიან არ უფრთხილდება სახელმწიფოს ინტერესებსა და ჩვენი მთავრობის პრესტიჟს, ოღონდ როგორმე მიაღწიოს პოპულარობას უცხოეთის ზოგიერთ წრეში: არ შემიძლია ამის შემდეგ ასეთი ამხანაგი მივიჩნიო ჩემს პირველ მოადგილედ“. პარტიის XIX ყრილობაზე ბელადმა საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა მოლოტოვი (და მიქოიანიძ კაპიტულანტობის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით: „საერთოდ, მოლოტოვი და მიქოიანი, ორივე იყო ამერიკაში, დაბრუნდნენ იქიდან დიდი შთაბეჭდილებებით ამერიკის ეკონომიკის სიძლიერის გამო. ვიცი, რომ მოლოტოვიც და მიქოიანიც – მამაცი ადამიანები არიან, მაგრამ მათ, ალბათ, შეეშინდათ დამთრგუნავი ძალისა, რაც ამერიკაში იხილეს. ფაქტია, რომ მოლოტოვმა და მიქოიანმა, პოლიტბიუროს ზურგს უკან, გაუგზავნეს ვაშინგტონში ჩვენს ელჩს დირექტივა ამერიკელებისთვის სერიოზული დათმობების შესახებ მომავალ მოლაპარაკებაში“.

მაგრამ, ეჭვიც არ არის, რომ არც სტალინი, არც მოლოტოვი მედასავლეები არ ყოფილან. უბრალოდ, ისინი გამოდიოდნენ დასავლურ დემოკრატებთან კარგი და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის მომხრეებად და შეეძლოთ მიმტევებლები ყოფილიყვნენ დასავლელების მიმართ. მაშინ, რა თქმა უნდა, როცა თავად დასავლელები არ ეწეოდნენ შპიონაჟსა და შეთქმულებას.

### ვინ იყო მართალი?

დასასრულ, არ შემიძლია არ შევეხო „გერმანიის საკითხს“. ჩვენ დავინახეთ საბჭოთა ელიტაში უძლიერესი ანტიგერმანული და ამავე დროს „პროანტანტისტური“ განწყობილებანი. ბევრ მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება შეკითხვა: „იქნებ სწორედ ლიტვინოვის პოზიცია ყველაზე სწორი იყო? ჩვენ ხომ 1941-1945 წლებში სწორედ ჰიტლერულ გერმანიასთან ვეწეოდით უმძიმეს, ასე გააფთრებულ ომს? მაგრამ საქმეც ისაა, რომ სტალინს მშვენივრად ესმოდა მესამე რაიხის სამხედრო-პოლიტიკურ მანქანასთან მომავალი დაპირისპირების მთელი საშინელება. და მას უნდოდა, შეძლებისდაგვარად, თავიდან აეცილებინა (პროგრამა-მაქსიმუმიძ ან, ბოლოს და ბოლოს, გაეჭიანურებინა (პროგრამა-მინიმუმიძ ეს შეტაკება“.

ამ უკანასკნელი ამოცანის შესრულება მან შეძლო – ომი დაიწყო არა 1936 და არა 1939 წელს, არამედ 1941 წელს. აი, ლიტვინოვების ან ბუხარინელებისთვის რომ მოესმინა და ჩასჭიდებოდა ანტიფაშიზმს და ანტიგერმანიზმს, ომი გარდუვალი იქნებოდა უკვე 1940-იანი წლების პირველ ნახევარში. თანაც რეალურ დახმარებას დასავლეთის დემოკრატიებისგან ჩვენი ქვეყანა ვერ მიიღებდა – ინგლისსა და საფრანგეთს ომი არ უნდოდათ (როგორც მეორე მსოფლიო ომის მოვლენებმა აჩვენეს – მართლაც არ უნდოდათ, ვინაიდან არ შეეძლოთძ. მათთან დაახლოებას სტალინი დათანხმდა უმთავრესად იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინა რუსეთის სრული იზოლაცია ან, რაც ყველაზე უფრო საშინელია, ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა. დასავლეთის დემოკრატიებისგან კი, ყოველი შემთხვევისთვის, უნდა გეცადა მიგეღო თუნდაც „კუდის ძირი“ – სასურსათო და ტექნოლოგიური მხარდაჭერა.

გადაედო ომის დაწყება ნებისმიერ ფასად, რისთვისაც უნდა გამოიყენო გერმანიასთან მოლაპარაკება – ეს იყო რუსეთისა და მისი ბელადის სტალინის მთავარი საგარეოპოლიტიკური ეროვნული ამოცანა. ამ მოლაპარაკების, ერთმნიშვნელოვანი, იდეურად ანგაჟირებული ანტიფაშიზმის გარეშე შეუძლებელი იყო გერმანიასთან შეთანხმების ნიადაგის მომზადება. ალტერნატივა იქნებოდა ერთი – ომის ადრე დაწყება. და ამ შემთხვევაში ჩვენ მას წავაგებდით ასპროცენტიანი ვარაუდით. გავიხსენოთ, რა „ბრწყინვალედ“ იყო საქმე მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში 20-30-იან წლებში.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-55.

კონტაქტები

# ქართველი სტუდენტები უკრაინაში



**ამას წინათ ქალაქ დონეცკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა თემაზე – „უმაღლესი პროფესიული განათლების აქტუალური საკითხები“.** დამსწრეთა წინაშე პოლონეთის, უნგრეთის, რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა ქალაქის უნივერსიტეტების წარმომადგენლები საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ. მონაწილეთა შორის იყვნენ თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები – როსტომ ხოზრევანიძე და ნიკოლოზ ხარშილაძე (ხელმძღვანელი – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი კახა ხარიტონაშვილი), რომლებიც დონეცკში უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებით გაემგზავრნენ.

კონფერენციაზე ქართველების მიერ წაკითხულმა ნაშრომებმა (როსტომ ხოზრევანიძე: „ჯანსაღი ცხოვრების დანერგვის წესი“, ნიკოლოზ ხარშილაძე: „ბავშვთა ფეხბურთის განვითარება საქართველოში“) დიდი მოწონება დაიმსახურა. ისინი კონფერენციის შემდგომ გამოსულ უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებულში დაიბეჭდა.

**სურათზე: ქართველი სტუდენტები დონეცკის ინსტიტუტის რექტორთან.**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. რომ ეგონათ „მილანის“ ქომაგებს, ჩვენმა საყვარელმა კლუბმა კრიზისი დაძლია და „სკუდეტოსთვის“ ბრძოლაში ჩაებაო, სწორედ მაშინ დაუცდა ფეხი „როსონერის“. და არ იკითხავთ, ვისთან?**

ლეონარდოს გუნდის ცოდვა სატურნირო ცხრილის შუაგულის უპრეტენზიო ბინადარმა „პარმამ“ დაიდო, რომელმაც მშობლიურ „ენიო ტარდინის“ სტადიონზე „სერია-ა“-ს XXX ტურში სტუმრად ჩასულ ფავორიტს შეცვლაზე შესული ბულგარელი ლეგიონერის ვალერი ბოჟინოვის მიერ უკანასკნელ წუთზე გატანილი კინკილა გოლით სძლია – 1:0.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახი კალაძემ მატჩისწინა ვარჯიშზე კუნთი დაიზიანა და პარტნიორებს ვერ დაეხმარა, თუმცა მისი თამაში ისედაც საეჭვო იყო – ჩვენს თანამემამულეს ხომ „შავ-წითელთა“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დიდი ხნის დაკარგული აქვს.

უახლოესი მდევრის წაფორხილებით მშვენივრად ისარგებლა „ინტერმა“, რომელმაც „სან-სიროზე“ ეტოოს „დუბლის“ წყალობით აუტსაიდერ „ლივორნოს“ გამოუყვანა წირვა და თანაქალაქელებთან ჰანდიკაპი ისევ 4 ქულამდე გაზარდა.

საჩემპიონო რბოლაში ჩაება ბევრის მიერ ნაადრევად ჩამოწერილი „რომაც“. ტრავმირებული ლიდერის ფრანჩესკო ტოტის გარეშე მოასპარეზე კლაუდიო რანიერის შეგირდებმა ბოლონიაში იმარჯვეს – 2:0 და დამდეგ უქმეებზე სწორედ „შავ-ლურჯებს“ უმასპინძლებენ, რომელთანაც „სტადიო ოლიმპიკოზე“ უკვე ხუთი სეზონია ამაოდ ცდილობენ შეხვედრის მოგებას.

**„ინტერი“ – 63, „რომა“, „მილანი“ – 59-59 ქულა.**



**გერმანია.** თასის გათამაშების ნახევარფინალში დიდი ბრძოლა გაჩაღდა ბუნდესლიგის ყოჩების „შალკესა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ დუელში. გულშემატკივართა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერთან“ დიდი ჯახის წინ ლუის ვან გაალი საკუთარ ვარსკვლავებს დაასვენებდა და საწადელის მიღწევას ნახევარი ძალით მოისურვებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. უშეღავათო პაექრობის ბედი დამატებითი დროის 112-ე წუთზე გადაწყდა, როცა ჩინებულ ფუნქციონალურ კონდიციებში მყოფმა არიენ რობენმა მეტოქის რამდენიმე მცველს მეტეორივით ჩაუქროლა და ბურთი გელზენკირხენელთა კარის შორეულ „ცხრიანში“ ჩასვა – 1:0.

15 მაისს ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე ბავარიელები პრესტიჟულ ჯილდოს ბრემენის „ვერდერთან“ გაითამაშებენ, რომელმაც მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „აუგსბურგს“ დაახრევინა ფარ-ხმალი – 2:0.

სანთელი

# პატივი მიაგეს ქუმარიტაშვილის ხსოვნას

წლეულს 12 თებერვალს კანადაში ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე უისტლერის საციგაო ტრასაზე სავარჯიშო დაშვებისას ტრაგიკულად დაიღუპა ქართველი ოლიმპიელი ნოდარ ქუმარიტაშვილი, მას შემდეგ 40-მა დღემ განვლო. ბაკურიანელი სპორტსმენის ნათელი ხსოვნისთვის პატივის მისაგებად მის მშობლიურ დაბაში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, მათ შორის ქართული და ევროპული სპორტის მაღალჩინოსნებიც იყვნენ.



„ვანკუვერში საშინელი ტრაგედია დატრიალდა, რამაც ნოდარ ქუმარიტაშვილის სიცოცხლე შეიწირა. ბაკურიანში ჩამოვედი, რათა კოლეგისა და მეგობრის ნათელ ხსოვნას პატივი მივაგო“, – თქვა საციგაო სპორტში ვანკუვერის ოლიმპიადის გერმანელმა ჩემპიონმა ფელიქს ლოხმა.

„ქუმარიტაშვილის ოჯახმა, სამშობლომ და მსოფლიო საციგაო სპორტმა უაღრესად კეთილშობილი პიროვნება და უდავოდ ნიჭიერი ათლეტი დაკარგა. სამომავლოდ ბაკურიანში ნოდარის სახელზე აუცილებლად აშენდება სპორტული კომპლექსი და ამაში საციგაო სპორტის ფედერაცია სერიოზულ წვლილს შეიტანს“, – აღნიშნა სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცმა იოზეფ ფენდტმა.

*პატრიკ ჰიკი, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი:* გამოძიებამ აუცილებლად უნდა დაადგინოს, რა იყო უისტლერზე ტრაგედიის მიზეზი. ევროპის ოლიმპიური ოჯახის სახელით კიდევ ერთხელ ღრმა მწუხარებას გამოვხატავ ქართველი ათლეტის დაღუპვის გამო.

„ვანკუვერი-2010“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ჯონ ფურლონგმა ქუმარიტაშვილებს მიუსამძიმრა და ოჯახს ნოდარის პირადი ნივთები და კანადელების მიერ შეგროვებული თანხა გადასცა.

მეზობელთან

# მედვედევი ჩინოვნიკებს ემუქრება

**როგორც უკვე არაერთხელ ვწერდით, ვანკუვერში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთის ნაკრების წარუმატებელმა გამოსვლამ ძალზე აღაშფოთა რუსი ხელისუფალნი, განსაკუთრებით კი ქვეყნის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი. მან წინადადება მისცა იმ სპორტულ ჩინოვნიკებს, ვისაც ევალებოდა ოლიმპიადისთვის სპორტსმენების სათანადო მომზადება, გამოეჩინათ ვაჟკაცობა და დაეწერათ განცხადებები თანამდებობებიდან გადადგომის შესახებ.**



ჯერჯერობით ცნობილია, რომ პრეზიდენტის ნება-სურვილს გამოეხმაურა და პოსტი ნებაყოფლობით დატოვა რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავკაცმა ლეონიდ ტიაგაჩევმა.

გუშინ კი პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ გადადგომაზე განცხადება დაწერა სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის მინისტრის მოადგილემ გენადი ალიოშინმა. თურმე მას ევალებოდა ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი შტაბის უფროსობა, ამავე დროს ყოფილა ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტიც.

მიუხედავად იმისა, რომ მედვედევი ძალზე გაბრაზებული იყო რუსეთელი სპორტსმენების შედეგებით, მან მაინც დააჯილდოვა ოლიმპიადაზე წარმატებამოპოვებულთა ჯგუფი ორდენ-მედლებით და ძვირადღირებული მანქანებით, შემდეგ კი ჩაიზე დაპატიჟა. პრეზიდენტმა სპორტსმენებს მოუწოდა, იფიქრონ 2014 წლის სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაზე და იქვე დაუმატა:

– დიდ უფროსებს მე კიდევ დაველაპარაკები. მაგრამ მინდოდა, რომ ჩემთვის დაგესწროთ თქვენი წარდგინებებით.

მედვედევმა ისიც განაცხადა, რომ 26 მარტს სოჭში ჩაატარებს სპორტის საბჭოს სხდომას, სადაც გაახმაურებს ინფორმაციას საკადრო საკითხებზე და, რომ ის შეეხება სპორტული ფედერაციების თავკაცებსაც.

– იქიდან, რაც მოხდა, უნდა გავაკეთოთ ყველაზე სერიოზული დასკვნები, – თქვა დიმიტრი მედვედევმა.

ინტერნეტიდან

## კომპიუტერმა ვიტალის გაამარჯვებინა

**მძიმეწონოსანი მოკრივე ძმების – ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოების შესაძლო ორთაბრძოლა ბევრს მოსვენებას უკარგავს.**

**შეგახსენებთ, ვიტალი მსოფლიო ჩემპიონია WBC ვერსიით, ვლადიმერი კი IBF და MBO ვერსიებით. რინგზე მათი შეჭიდება ბევრმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. და აი, ტაბლოიდის Bild ჟურნალისტებმა კომპიუტერის სპეციალური პროგრამით მოაწყეს მათი „ორთაბრძოლა“.**

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლაში საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვა უფროსმა ძმამ – ვიტალიმ, თუმცა ვლადიმერი დამაჯერებლად ჯაბნიდა ვიტალის პირველ ოთხ რაუნდში, მაგრამ მეხუთე რაუნდში, „რკინის მუშტების დოქტორმა“ ნოკაუტში „გაუშვა“ უმცროსი ძმა „ფოლადის უროს დოქტორი“.

როგორც პრესა იტყობინება, ამ ექსპერიმენტის მეთოდიკა გერმანელებმა არ გაამჟღავნეს. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, ის დამყარებულია ძმების სტატისტიკაზე: ვიტალიმ გაიმარჯვა 41 შეხვედრაში, საიდანაც 39-ში მისმა მეტოქეებმა ვერ მიაღწიეს ფინალურ გონგამდე. ასეთი ვლადიმერთან 48 ბრძოლაა 54 გამარჯვებიდან.



სინამდვილეში ასეთი ბრძოლა ძმებს შორის ვერ გაიმართება, რადგან ისინი დაპირდნენ დედას, რომ ერთმანეთს არასოდეს დაუპირისპირდებიან.

## სირბილი დედიშობილა

**ეს აპრილის დასაწყისში, უფრო სწორედ 4 აპრილს, ჩვენებური აღდგომის დღეს, მოხდება. ამ დღეს კანარის კუნძულების ულამაზეს სანაპიროზე სტარტს აიღებს ნუდისტთა შეჯიბრება სირბილში.**

ეს იქნება პირველი ასეთი შეჯიბრება ევროპის დასავლეთ წერტილში – კუნძულ ტენერიფეზე. 10 საათზე მთელი ევროპიდან ჩამოსული ნუდისტები სამ კილომეტრს გაირბენენ დედიშობილა. მონაწილეებს, ისინი იქნებიან 18 წლიდან ზემოთ, შეიძლება ეხუროთ ქუდები ან კეპები, ეკეთოთ მზის სათვალეები, ეცვათ წინდები და სპორტული ფეხსაცმელი.



აღსანიშნავია, რომ ასეთი შეჯიბრებები ხშირად ტარდება გერმანიაში ციგებით სრიალში, ველოგადარბენებში, კედელზე ცოცვაში და გოლფშიც კი.

## ახალგაზრდებისთვის სამაგალითო

**ცნობილი მოდელი ნიკოლა ტაპენდენი, სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, მაგალითია 16 წლის ბრიტანელი გოგონებისთვის. ფეხბურთელ საიმონ უოლტონის 27 წლის დაქალის კარიერა და ცხოვრებაც მიბაძვის ნიმუშია ნორჩი ქალბატონების 54 პროცენტისთვის.**

ნიკოლა დიდხანს იყო „ფულჰემის“ ნახევარმცველის ბობი ზამორას სატრფო, შემდეგ კი „გადაბარგდა“ უოლტონთან. მისგან 2008 წელს გოგონაც შეეძინა – პოპი.

რასაკვირველია, ლამაზმანს უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. ადრე კი მონაწილეობდა რეალითი-შოუში „დიდი ძმა“.



ხსოვნა

# ცოტნე მირცხულავა



მძიმეა საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივისათვის იმ აზრთან შეგუება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, რომელიც ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა 37 წლის მანძილზე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მრავალი საზღვარგარეთის ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გაეროს სამეცნიერო ექსპერტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენისა და სხვა მრავალი სამთავრობო ჯილდოს მფლობელი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ცოტნე მირცხულავა.

ბატონი ცოტნე დაიბადა ქ. ფოთში 1920 წლის 25 ივლისს. მამის ნაადრევად გარდაცვალების გამო დედის ამარად დარჩენილმა ადრევე დაიწყო შრომითი საქმიანობა. ქ. ფოთის ცნობილ ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმში სწავლების პერიოდში მისმა ნიჭიერებამ და შრომისმოყვარეობამ ადრევე იჩინა თავი. იგი ტექნიკუმის უფროსკლასელებსაც კი ამეცადინებდა მათემატიკაში, რასაკვირველია, პედაგოგების რეკომენდაციით.

ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი მისაღებ გამოცდებს აბარებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელსაც ნაცვლად 5 წლისა, ამთავრებს 3 წელიწადში და სამუშაოდ განაწილდა კახეთში საქნავთობის ქ. წნორის ობიექტზე. მალე იგი დააწინაურეს სათავე ორგანიზაციაში მთავარ ინჟინრად, ხოლო 1956 წლიდან მუშაობს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელსაც 1968 წლიდან 2005 წლამდე ხელმძღვანელობდა ბატონი ცოტნე და ამ პერიოდში ინსტიტუტმა მოიხვეჭა საერთაშორისო ავტორიტეტი.

ბატონ ცოტნეს მაღალ მეცნიერულ დონეზე მეტყველებს ის, რომ იგი ერთხმად იქნა არჩეული რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად. მსოფლიო ავტორიტეტის მქონე საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტი მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის პრესტიჟულ საერთაშორისო რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 600-ზე მეტი ნაშრომი და 26 მონოგრაფია, მათ შორის რამდენიმე ითარგმნა და გამოიცა აშშ-ში და სხვა ქვეყნებში.

ბატონი ცოტნე გამორჩეული იყო არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით, პროდუქტიულობით და იგივეს ითხოვდა თავისი უმცროსი კოლეგებისაგან. მის მიერ აღზრდილი მეცნიერები დღესაც აქტიურად მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და აგრძელებენ მის მიერ დანერგილ ტრადიციებს.

ფასდაუდებელია ბატონი ცოტნეს ღვაწლი ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში და განსაკუთრებით გარემოს დაცვის, წყალთა მეურნეობის, ჰიდროტექნიკის, ჰიდრომელიორაციის, საიმედოობის, რისკის და სხვა მონათესავე მიმართულებებში. მის მიერ დატოვებული მეცნიერული მემკვიდრეობა კიდევ დიდხანს გაუწევს სამსახურს ქართული და საერთაშორისო მეცნიერების შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

ბატონი ცოტნეს ხსოვნა დიდხანს დარჩება მის თანამედროვეებისა და მომავალი თაობების მეხსიერებაში.

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

---

საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გაეროს სამეცნიერო ექსპერტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

ცოტნე მირცხულავა

და ღრმა თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

პანაშვიდი 26, 27 III, 16 სთ. თბილისი, შიო მღვიმელის, 6, გამოსვენება 28 III, 14 სთ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტიდან, ჭავჭავაძის გამზირი, 60.

---

მეუღლე ვალია გაბუნია, შვილები მამუკა, რევაზი, ირმა, დები ცაცა, მარინა პაპასკირები, სიძე იოსებ გობეჩია, რძალი ირინა ქარჩავა ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

საშა აპოლონის ძე პაპასკირი

დაკრძალვა 30 III, ქ. სენაკში, გოგებაშვილის ქ. №3.

---

ანიკო და თემურ კუჭუხიძეები სამძიმარს უცხადებენ ჩიტო და გურამ კვარაცხელიებს მამისა და სიმამრის

ირაკლი თადეოზის ძე ბერაძის

გარდაცვალების გამო.

---

თემურ კიკალიშვილი ოჯახით, გურამ და კაკო კიკალიშვილების ოჯახები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, ღირსეული მოქალაქე, დახვეწილი ინტელიგენტი, ბრწყინვალე დედ-მამის შვილი და ასევე ბრწყინვალე ოჯახის პატრონი, ციციშვილების, ლაფერაშვილების და კაკაბაძეების სახელოვანი გვარების შთამომავალი

ლეონიდე ვლადიმერის ძე ოატი

და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს.

---

გამოსათხოვარი

# ნათელა ფაილოძე

ქალბატონი ნათელა ფაილოძე მიიცვალა... საქართველოში მას ბევრი, ძალიან ბევრი იცნობდა, განსაკუთრებით განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანები.

თბილი, გულწრფელი, ყურადღებიანი, მიმნდობი, რომანტიკული და ოდნავ გულუბრყვილო, მზაკვრული ბედის არმომდურავი, წყნარი და კდემამოსილი, თითქოს „გაიძულებდა“, მასთან ისეთივე გულწრფელი ყოფილიყავი, როგორიც თვითონ იყო.

დამსახურებული ჟურნალისტი, მოზარდი თაობის აღმზრდელი, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციების აქტიური მოღვაწე, ნიჭიერი და მახვილი კალმოსანი...



ამ უსათნოეს და უკეთილშობილეს ადამიანს სრულებით არ ეხერხებოდა საარსებო გარემოს თავისთვის სასურველ კალაპოტში ჩაყენება და ცხოვრების „მოსაწყობად“ ზრუნვა. არადა, მისი ცხოვრების სამმა მეოთხედმა, თუ უფრო მეტმა არა, სწორედ ისეთ გარემოში განვლო, სადაც პარტიული „სუბორდინაცია“, პირფერობა, მორჩილება და შემგუებლობა ცხოვრების აუცილებელ წესად ითვლებოდა... იგი პიონერული და კომკავშირული ცხოვრების „განხრით საქმიანობდა“, სწორედ ამან განაპირობა ბავშვობიდან ნათელასთვის დამახასიათებელი ასეთი ფაქიზი სულიერების შენარჩუნება: იგი სიცოცხლის ბოლომდე ახალგაზრდობის დამრიგებლად დარჩა...

ნათელას არ ახსოვდა დედა, რომელიც მისი დაბადების წელს გარდაიცვალა. მამას ბატონ ილარიონს, მის გარდა კიდევ ოთხი პატარა ჰყავდა გასაზრდელი. მეუღლეგარდაცვლილს შვილებისთვის სხვა „დედა“ არ მოუყვანია, უფროს ქალიშვილთან, თამართან ერთად თავად წამოჩიტა ოთხი ბავშვი. ნათელას აღზრდა კი ბებიამ და დედის ძმებმა ითავეს. მაგრამ თავის და-ძმებს მოშორებულ და უდედოდ გაზრდილ ნათელას გულში მაინც სევდა-კაეშანი ჩარჩა და ეს მთელი სიცოცხლე არ განელებია...

მარტვილში გაიზარდა მრავალ ბიძაშვილთან ერთად...

მეორე მსოფლიო ომის წლებში მეშვიდე თუ მერვეკლასელმა ნათელამ ზოია კოსმოდემიანსკაიას გმირობის „თემაზე“ პატარა პიესა დაწერა, რომელიც ყველას მოეწონა და მოწაფეებმა სკოლის იმპროვიზებულ სცენაზე დადგეს. ამ პირველმა წარმატებამ ისე წაახალისა, რომ მხატვრული სიტყვის სიყვარული და კალმისკენ სწრაფვა სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია.

1947 წელს, მარტვილის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ნათელამ სწავლა თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის მე-4 კურსზე გააგრძელა, სადაც დაწყებითი სკოლის მასწავლებლისა და პიონერხელმძღვანელის სპეციალობა მიიღო. განათლების სამინისტრომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 19 წლის გოგონა სამუშაოდ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ვაშლოვანის საბავშვო სახლში უფროს პიონერხელმძღვანელად გაგზავნეს.

აქედან დაიწყო ნათელას შრომითი საქმიანობა... შემდეგ იყო დაწინაურება თეთრი წყაროს ალკკ რაიკომში, კვლავ სწავლა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მერე — მოსკოვში საკავშირო ალკკ ცეკას ორწლიან კომკავშირულ სკოლაში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, ინსტრუქტორია საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, განყოფილების გამგე — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლესა და გაზეთ „სახალხო განათლებაში“, სსრკ-ს დაშლის შემდეგ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტი...

თითქოს საკუთარი ცხოვრებისთვის დრო არ რჩებოდა, მაგრამ ნათელამ დიდებული ოჯახი შექმნა. ეს ნიჭი მას ბატონმა გიგუცა (ბიჭიკოძ ვარდოსანიძემ აჩუქა, მისმა განუყრელმა მეგობარმა დაქორწინებამდე და დაქორწინების შემდეგ, ენერგიით სავსე და გონებით ალმატებულმა ადამიანმა: მათ ორი ვაჟკაცი გაზარდეს, დააცოლშვილეს და დააბინავეს, შვილიშვილებსაც შეავლეს ხელი...

სამწუხაროდ, ბატონი გიგუცა ექვსი წლის წინათ გარდაიცვალა.

ნათელა შინაგანად, როგორც ყველა მისი თანამოასაკე, ღრმა ტრაგედიას განიცდიდა: ერთი მხრივ, სიხარულითა და სიამაყით აღსავსე, სამშობლოს დამოუკიდებლობას შეჰხაროდა, მეორე მხრივ კი, მოსვენებას უკარგავდა ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური გაჩანაგება, რაც დღემდე გრძელდება და ბოლო არ უჩანს... ვერ შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ უფროსი თაობის ადამიანები ამ ისტორიულ ცვლილებებს ზვარაკად შეეწირნენ... უაზროდ!

შენ ჭეშმარიტი მორწმუნე იყავი! შენს შვილებსა და შვილიშვილებს ახლომოდეს ყველა ლოცვა, რომელმაც მიცვალების წინ შენს გონებაში გაირბინა და უძალობის გამო მისი გახმიანება ვერ შესძელი. დედისა და ბებიის ლოცვას ღვთიური ძალა აქვს.

ღმერთმა ბუმბულად გიქციოს, ქალბატონო ნათელა, ქართული მიწა!

ამირან გაბისონია

25 მარტი, 2010 წ.

---

გახსენება

# სიტყვა მეგობარზე



ორმოცი დღე გავიდა, რაც ქართულმა გეოლოგიამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — ნაადრევად წავიდა ცხოვრებიდან ამ კეთილშობილი, რომანტიკული და ამავდროულად ვაჟკაცური პროფესიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ვახტანგ (ვახოძ ჟორდანია.

ჩვენთვის, 1940-50-იან წლებში დაბადებული ადამიანებისათვის, რომლებსაც უშუალოდ შეხებაც კი არ გვქონია გეოლოგიასთან, ცნობილი იყო ისეთი კორიფეების სახელები, როგორებიც იყვნენ თვალჭრელიძე, გამყრელიძე, ჯანელიძე, ბააკაშვილი, გუჯეჯიანი და სხვები, სახელები ადამიანებისა, რომლებსაც წინ მიჰყავდათ ეს დარგი როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, „საველე პირობებში“.

ვახტანგ ჟორდანია დაიბადა 1940 წელს ცნობილი ექიმის — ვუკოლ ჟორდანიას ინტელიგენტურ ოჯახში, რომელმაც აღზარდა ღირსეული შვილები — ვახტანგი და ცნობილი თეატრალური მოღვაწე, პედაგოგი და რეჟისორი გიზო ჟორდანია.

ვახტანგმა თავისი ცხოვრება გეოლოგიას მიუძღვნა. ბუნებასა და თავის საქმეში უზომოდ შეყვარებული არ გაურბოდა მძიმე საველე სამუშაოებს, აფხაზეთში ხელმძღვანელობდა გეოლოგიურ დაზვერვას. შემდეგ მოღვაწეობდა აჭარაში. იყო მხიარული, დიდსულოვანი, უანგარო, სამსახურში მომთხოვნი, ოჯახსა და მეგობრებზე მზრუნველი, ახალგაზრდა გეოლოგთა მთელი პლეადის აღმზრდელი, პატრიოტი, რომელიც შვილთან ერთად იბრძოდა აფხაზეთში სეპარატისტების წინააღმდეგ. ვახოზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლი მისი ერთგული მეუღლისა და მეგობრის ქეთევან ობოლაძის ღვაწლს. ქალბატონმა ქეთინომ ცხოვრებაში იწვნია ყველა ის სიძნელე და სიხარული, რაც გეოლოგის ცოლობის თანამდევია. მათი სიყვარული და ურთიერთობა სამაგალითოა.

ვახტანგი დაჯილდოებული იყო უმაღლესი ტალანტით — იყო უაღრესად კეთილსინდისიერი ადამიანი. ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებშიც კი ღირსება არ დაუკარგავს.

ამის დამამტკიცებელი იყო ვახოსთან გამოსათხოვრად მისული უამრავი ადამიანი — ახლობლები, მეგობრები, კოლეგები, ნაცნობები. თითქოს ეს იყო სამადლობელი ამ საოცარ ადამიანთან დაუვიწყარი ურთიერთობისათვის.

2005 წელს, ხანგრძლივი განშორების შემდეგ, ბედნიერება მქონდა შევხვედროდი ვახოს ბათუმში. იგი მეგობრებს დაუფარავი სიამაყით გვათვალიერებინებდა მშვენიერ გვირაბს, აგვიყვანა მთაზე, სადაც ეკლესიის მშენებლობა იყო დაწყებული და დაუსრულებლად გვიამბობდა თავის გეგმებზე. თბილისში დაბრუნებულმა ვახოს იუბილეს დღეებში გავუგზავნე წერილი ლექსად, სადაც ერთხელ კიდევ გამოვხატე ჩემი აღფრთოვანება და მადლობა ამ შესანიშნავ პიროვნებასთან ურთიერთობის გამო.

სამწუხაროდ, ვახოს მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

ვახტანგ ჟორდანია ქართული საზოგადოების „ოქროს ფონდის“ ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ.

მეგობრების სახელით

ჩარიტა ჯაფარიძე

(ცნობილ გეოლოგ ჯუნა ჯაფარიძის და)

## ყველაფერი ყველაფერზე

### „შინდლერის სია“




**როდესაც 1993 წელს ამერიკულმა „უნივერსალ პიკჩერსმა“ ახალი ფილმი „შინდლერის სია“ ეკრანზე გამოუშვა, მან მთელ მსოფლიოში პირდაპირ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იგი 22 მილიონი დოლარი დაჯდა, შემოსავალი გაცილებით უფრო მეტი იყო, თუმცა მის რეჟისორ სტივენ სპილბერგს ფული საქმეზე წინ არასოდეს დაუყენებია. აშშ-ს ამ განთქმულ რეჟისორს დასახული ჰქონდა მიზანი – ჰოლოკოსტის მთელი საშინელების ჩვენება. ინგლისის პარლამენტის წევრ კაუფმანის აზრით, რომლის ბებია, საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა, „შინდლერის სია“ არის უდიდესი ფილმი კინემატოგრაფიის მთელი ისტორიის მანძილზე“. „ნიუ-იორკ ბუკს რევიუს“ კრიტიკოსი ჯონ ეროსი სპილბერგის ფილმს რაღაც დიდ განსაკუთრებულ მიღწევად მიიჩნევს.**

რაზეა ლაპარაკი ამ მეტად გახმაურებულ ნაწარმოებში? 1982 წელს ამერიკელმა მწერალმა ტომას კინელიმ გამოაქვეყნა რომანი „შინდლერის კიდობანი“, რისთვისაც პრესტიჟული ბუკერის პრემია მიიღო. აი, სწორედ მაშინ „უნივერსალ პიკჩერსმა“ მოიპოვა ამ რომანის ეკრანიზაციის უფლება და რეჟისორ სტივენ სპილბერგს სთხოვა, შედგომოდა მუშაობას. სპილბერგი ვერ ბედავდა გადაღებების დაწყებას, ამ თემას მარტინ სკორსეზე, სიდნეი პოლაკი და სხვები უკეთ მოუვლიანო, შესთავაზა კიდეც, მაგრამ ყველამ უარი თქვა და ისევ სპილბერგმა დაიკაპიწა ხელები.

ნაწარმოების გმირი ოსკარ შინდლერი სრულიად რეალური (გარდაიცვალა 1974 წელს), მაგრამ მეტისმეტად რთული პიროვნება იყო: გერმანელი აფერისტი, სპეკულიანტი, მექალთანე, ბონვივანი, რომელიც ოკუპირებულ პოლონეთში ბიზნესს მისდევდა, მაღალ საზოგადოებაში დიდი კავშირები ჰქონდა, ნაცისტებს ლამაზ ქალებს ახვედრებდა. ერთი სიტყვით, უარესი არ შეიძლება, მაგრამ ნახეთ, როგორ დაამთავრა: როცა 1944 წელს ფაშისტები უკანდახევას ამზადებდნენ, შინდლერმა ნებართვა აიღო, სუდეტებში თავისი საკუთარი საკონცენტრაციო ბანაკი შექმნა, იქ 1098 ებრაელი გადაიყვანა, როგორც სამხედრო სპეციალისტები და ამით პატიმრებს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

გასაოცარი ფილმი „შინდლერის სია“ შავ-თეთრ ფერებში გადაიღეს, რათა ისტორიას მაქსიმალური დამაჯერებლობა ჰქონოდა. წარმატება კი მართლაც გრანდიოზული იყო.

### რა მოჰყვა „შინდლერის“ წარმატებას

**„შინდლერის სიის“ წარმატების შემდეგ სტივენ სპილბერგმა ფართო ქველმოქმედებას მიჰყო ხელი და თავისი კომერციული საქმეებით მოზიდული თანხებიც გამოიყენა. რეჟისორმა 85 მილიონი დახარჯა ებრაელი ხალხის კულტურის, მისი განათლების მიზნებისთვის, საბავშვო საავადმყოფოებს 40 მილიონი შესწირა.**

ეს ნამდვილი ქველმოქმედი ცხოვრებაში მეტად თავდაჭერილი, მოკრძალებული კაცი იყო.

55 წლისამ ყველა გააოცა, როცა ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი მიიღო. თურმე ნუ იტყვით, მან მალულად განაახლა დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი სწავლა კალიფორნიის უნივერსიტეტში. სტუდენტთა სიაში მას ფსევდონომით აღნიშნავდნენ. საინტერესოა, რომ ამ დროისთვის იგი უკვე იყო 5 უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მაგრამ მაინც გადაწყვიტა მიელო უმაღლესი განათლება, რაზეც მისი მშობლები ოცნებობდნენ.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

## 26 მარტი

**აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (846წ; მოწამისა საბინესი (287წ; მოწამეთა: აფრიკანესი, პუპლისა და ტერენტისა (IIIწ; მოწამისა ალექსანდრესი (305-311წ; მოწამისა ქრისტინე სპარსისა (IVწ; ღირსისა ანინე ხუცისა.**



ამოდის 05.55
ჩადის 18.19



ამოდის 04.28
ჩადის 14.35

### დაიბადნენ:

**1675 – ვახტანგ VI,** ქართლის მეფე, პოეტი. გარდაიცვალა 1737 წელს.
**1874 – რობერტ ფროსტი,** ამერიკელი პოეტი. გარდაიცვალა 1963 წელს.
**1898 – არნოლდ ჩიქობავა,** ენათმეცნიერი. გარდაიცვალა 1987 წელს.
**1899 – შალვა ამირანაშვილი,** აკადემიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. გარდაიცვალა 1975 წელს.
**1911 – ტენესი უილიამსი,** ამერიკელი მწერალი და დრამატურგი. გარდაიცვალა 1983 წელს.
**1916 – კრისტინ ბემერ ანფინსენი,** ამერიკელი ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
**1939 – გურამ დოჩანაშვილი,** მწერალი.
**1945 – ნოდარ ჟვანია,** მუსიკოსი, პროფესორი.

### გარდაიცვალნენ:

**1827 – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი,** დიდი გერმანელი კომპოზიტორი.
**1892 – უოლტ უიტმენი,** ამერიკელი პოეტი.
**1918 – კლოდ დებიუსი,** ფრანგი კომპოზიტორი.
**1923 – სარა ბერნარი**, ფრანგი მსახიობი.
**1945 – ჯორჯ დევიდ ლოიდი,** ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე.

### მოვლენები:

**1872** – რუსეთში პირველი საფოსტო ბარათი გამოუშვეს.
**1885** – ინგლისში პირველად მოხდა გარდაცვლილის კრემაცია.
**1941** – დაარსდა საბჭოთა კავშირის სტალინური პრემია (შემდეგში – სახელმწიფო პრემიად.
**1953** – ამერიკელმა ექიმმა ჯონას ედვარდ სოლკმა მოახდინა პირველი წარმატებული ვაქცინაცია პოლიომიელიტის წინააღმდეგ.
**1960** – დაარსდა საფეხბურთო ტურნირი – „თასის მფლობელთა თასი“.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ვიეტნამი** – ახალგაზრდობის დღე.
**ბანგლადეში** – დამოუკიდებლობის დღე.
**ჰავაის კუნძულები** – კუხიოს დღე.

**მედიანიუსი**

## შევეწიოთ!

**შენდება წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო**

სს „გაერთიანებული ტელეკომი“ 60-26-02
შპს „ახტელი“ 70-08-18
შპს „მაგთიკომი“ 20-03-20
შპს „ჯეოსელი“ 70-03-05
შპს „ბილაინი“ 20-03-33



ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
სს „თი-ბი-სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა63636080100001; ს/კ 215141246, თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში – სხვადასხვა ქველმოქმედება – წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.
ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3, ტელ.: 8 (293) 70736
მობ: (899) 936563, e-mail: eparqia-f@mail.ru

**განცხადება**

იყიდება ჭურჭლის სარეცხი მანქანა „სიმენსი, ლედი-45“, ფასი 300 ლარი. ტელ. 858 12 88 60.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

**აუდიტი**
34-84-83,
899 49-19-97

**განცხადება**

**ქართული კომპანია იწვევს ქალბატონებს**

გაყიდვების მენეჯერის ვაკანსიაზე. თავისუფალი სამუშაო გრაფიკით. კომპანია ახორციელებს გამოცდილი მკურნალი ექიმისა და კოსმეტოლოგის მაღალი დონის მომსახურებას უნიკალური ტექნოლოგიების გამოყენებით.
**კომპანიის მენეჯერის ტელეფონები: 39-30-05, 893-66-02-26.**

## კადრი



## ანეკდოტები

**ადრე, საბჭოურ ხანაში, მხოლოდ ხელისუფლება რყვნიდა ხალხს, ახლა კი ხელისუფლებაში უკვე მზა კადრები მოდიან.**

* * *

**ტუალეტში ორი ტიპი შევიდა. ერთი სექსგიგანტი, მეორე – იმპოტენტი. იმპოტენტმა მოშარდა და ხელები დაიბანა, სექსგიგანტმა კი ჯერ ხელები დაიბანა და მერე მოშარდა.**

**– რატომ იბან ხელებს მოშარდვამდე? – გაუკვირდა იმპოტენტს.**

**– იმიტომ, რომ როგორც მოვექცევი მას, ისევე მომექცევა ისიც.**

* * *

**იმისთვის რომ შენი სიკვდილით მოკვდე, ჯერ სიკვდილამდე უნდა იცოცხლო.**

* * *



**ერთი მილიარდერის გაჩენისთვის ერთი ქალის დაორსულება არ კმარა. საამისოდ მილიონობით ქალისა და კაცის ხმარებაა საჭირო.**

* * *

**მიხოს მეზობლად მევიოლინემ იყიდა ბინა. არავითარმა თხოვნამ, ვედრებამ, გაფრთხილებამ არ გაჭრა – შეიკლა ახალმოსახლემ მეზობლები ხელში გაუთავებელი დაკვრით.**

**– მიხო, იქნებ როგორმე ცოტა ხნით მაინც გააჩერო ის კაცი, თორემ ფანჯრიდან გადავხტები! – ეხვეწება გაწამებული ცოლი.**

**მიხო წავიდა მეზობელთან. ცოტა ხანში დაკვრა შეწყდა.**

**– როგორ მოახერხე, საყვარელო? – მადლობას უხდის ცოლი.**

**– რაკი არავითარმა თხოვნამ არ გასჭრა, მისი ვიოლინო აივნიდან მოვისროლე. იმედია, დაიმსხვრა. მეშვიდე სართული მაინც დიდი სიმაღლეა.**

**– შენ გაიხარე, მე კი მეგონა, რომ იგი არასოდეს გააგდებდა ხელიდან ვიოლინოს.**

**– არც ახლა გაუგდია!**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.